ცალკე ნომერი ორი შაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქციის ადრესი:**
ორბელიანის ქუჩა 6.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება **სამშაბათობით** და **შაბათობით** 11-2 საათამდე.
კონტორა ღიაა ყოველ დღე.

# ნობათი

დღისით და ღამით მოყმენი
ნობათსა არ დასცდებიან...
შოთა რუსთაველი

შინაარსი:

1. რუსეთის რევოლიუცია. პ. კროპოტკინისა.
2. დუმა, „პარტიები“ და კარზედ მომდგარი რევოლიუცია. Bäton-ისა.
3) ფელეტონი მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. კ. ო-სა.
4. სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლიუცია. Bäton-ისა.
5. დემოკრატიული არისტოკრატიზმი და ანარხია. ი. ნაკაშიძისა.
6. ეკონომიური მონიზმის კრიტიკა. შ. გ.

№ 13 კვირა 25 ივნისი 1906 წ. № 13

## ადრესის გამოცვლა.

**ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.**

ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრატორის ხელში. ამისათვის ყოველ გვარი წერილები და ფულიც იქით უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქნას აღნიშნული: „ნობათისათვის“.

**„მუშის“ რედაქციის ადრესი, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა:**

თავად აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

## რუსეთის რევოლიუცია.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ბოლოს რუსეთს ნამდვილი **სარევოლიუციო** ხანა დაუდგა. ეხლა ჩვენ აჯანყება, ამბოხება კი არ გვიდგას წინ, არამედ **რევოლიუცია**, მგზავსი იმ რევოლიუციისა, რომელიც ინგლისმა 1648—1665 წლებში და საფრანგეთმა 1788—1793 წწ. გამოიარა. ჩვენ ეხლა ისეთი რევოლიუცია მოგველის, რომელიც შეძლებას მოგვცემს ცხოვრებაში განვახორციელოთ დიდი ნაწილი იმისა, რაც აღნუსხულ იქმნა მე-XIX საუკუნის მიერ. როცა 1671 წ. რუსეთის გლეხობა აჯანყდა სტეფანე რაზინის წინამძღოლობით იმ ბატონყმობის უღლის უკუსაგდებად, რომელიც მას დაადგა კისერზე პირველმა ორმა რომანოვებმა (მიხეილმა და ალექსიმ), რაზინი კარგად მიხვდა, რომ რამე მუდმივის შესაქნელად თვით მოსკოვამდე ასვლა იყო საჭირო და ეს იმისათვის, რომ, როგორც თითონ სთქვა: „погулять тамъ, на верху, у бояръ“. მაგრამ სამწუხაროდ მას არ ეღირსა მოსკოვამდის მისვლა და ამისათვის თავადების და მეფის ბატონობა ხელუხლებლად დარჩა. ბატონ-ყმობა, საეკლესიო თვითნებობა, თავადების ძალა და მეფის თვითმპყრობლობა, ყველა ეს როგორც იყო, ისე დარჩა. ჩვენ ეხლა ვამბობთ, რომ სტეფანე რაზინის აჯანყებამ ვერ გაიმარჯვა. მისი მოძრაობა იყო აჯანყება, ამბოხება და არა რევოლიუცია. გავიდა ას წელზე ცოტა მეტი და იგივე დაემართა პუგაჩოვს. კიდევ გლეხობა და ურალის ყაზახები აჯანყდნენ მემამულეებისა, მღვდლებისა და ჩინოვნიკების წინაალმდეგ. ეს აჯანყება მოედვა გვარიან ფართე ნაწილს აღმოსავლეთ რუსეთისა. მაგრამ პუგაჩოვი კაზანს ვერ გასცილდა და რამოდენიმე საშინელ შეტაკებაში ურალზე ის ძლეულ იქნა ეკატერინას მხედრობის მიერ. ბატონყმობა კიდევ ვერ იქნა დანგრეული. მემამულეებსა, მღვდლებსა და ჩინოვნიკებს ძველებურად შერჩათ ძალა ხელში. მეფის უფლებაც ხელშეუხებლად დარჩა და ეკატირინა თავიანთი ჩინოვნიკობით ძველებურად ფარფაშებდა მთელ რუსეთის ხალხზე. აქაც ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთში პუგაჩოვის ხელმძღვანლობით მოხდა დიდი ამბოხება, მაგრამ ამ ამბოხებასაც არ შეიძლება ვუწოდოთ რევოლიუცია. მართალია, ბევრი მემამულე მოკლეს გლეხებმა და დანარჩენებს ისეთი სიცხე მიაყენეს, რომ ისინი, ცოტა არ იყო, მოლბნენ, და ასი წლის შემდეგაც შიში და კანკალი მოსდიოდათ, როცა ვინმე ხმამაღლა ახსენებდა გლეხთა მოძრაობას. დამარცხების მიუხედავად „პუგაჩოვშჩინამ“ უეჭვოთ სიკეთე უყო გლეხებს,—მან მოამზადა მათი განთავისუფლება 1861 წლისათვის. მაგრამ სამწუხაროთ რევოლიუციამდი მაინც ვერ მივიდა.

* * *

როცა თუთხმეტი წლის შემდეგ საფრანგეთში დაიწყო ისეთივე გლეხთა აჯანყება, ის ისე გაიზარდა, რომ შედეგად მოჰყვა ღრმა ძირეული გარდაქმნა, რომელსაც ჩვენ ყველანი **დიდ რევოლიუციას** ვუწოდებთ. რაში მდგომარეობს ზემოაღნიშნულ და ამ მოძრაობას შორის განსხვავება? განსხვავება

აი რაშია: საფრანგეთის რევოლიუციაც გლეხთა აჯანყებით დაიწყო 1788 წ. უმალაც იყო გაცალცალკევებული მოძრაობა გლეხთა. ეხლა კი გლეხებმა ჯარობით იწყეს სიარული მემამულეებთან და მოითხოვდნენ მათგან, გაენთავისუფლებიათ გლეხობა ყოველი ვალდებულებისაგან, აღარ ეთხოვათ გლეხებისაგან გადასახადები და საბატონო და თან სწვავდნენ გრამოტებსა, სადაც ეს ვალდებულებები ჩაწერილ იყვნენ. ისინი ართმევდნენ მემამულეებს იმ საზოგადოებრივ (კომუნალურ) მიწებს, რომელნიც ამ უკანასკნელებმა მიითვისეს. და თუ მემამულე ყველა ამაზე ნებით არ დასთანხმდებოდა, გლეხები გადასწვავდნენ მის ქონებას და ხანდახან თვით მემამულესაც ჰკლავდნენ ხოლმე. ამგვარად პუგაჩოვისა და საფრანგეთის გლეხების აჯანყებათა შორის ბევრი რამ საერთოა. მაგრამ აი სად იწყება განსხვავება: საფრანგეთში გლეხობას ქალაქებმაც დაუჭირა მხარი,—ჩვენში კი ეს ასე არ ყოფილა. ჩვენში მოსკოვში, ტულაში, კაზანში და სხვა ქალაქებში მუშები ერთმანეთს შორის ბჭობდნენ: „აი ჩამოვა პუგაჩოვი და მაშინ ვაჩვენებთ ჩვენს ბატონებსაო“. ამ ბჭობაში და პუგაჩოვის ცდაში გაატარეს დრო მის მაგიერ, რომ თავად ამდგარიყვნენ ერთად ქალაქებში ბატონებისა, ჩინოვნიკებისა და მეფის მოსამსახურეთა წინააღმდეგ. ისინი ბჭობდნენ და ამასობაში აზნაურობამ და მეფის მსახურებმა მოუყარეს თავი ჯარს, გაგზავნეს პუგაჩოვის წინააღმდეგ, დაამარცხეს იგი და მერმედ მოჰყვენ გლეხების წვას, წამებას და ტანჯვას.

**საფრანგეთში** კი—პარიზში და სხვა ქალაქებში, ხალხს არ დაუწყია ცდა, აი მოვლენ გლეხები სოფლებიდანაო: მუშები, ხელოსნები თვით იყრიდნენ თავს, სთქვამდნენ პირსა და სდგებოდნენ. პარიზში მაგალითად თვით უღარიბესი ხალხიც კი შეიარაღდა შუბებითა და ცელებით—ერთი სიტყვით იმით, რაც მოხვდა ხელში—და უზარმაზარი ხალხი—სამას ათასამდე—გაექანა მეფის სიმაგრის, ბასტილიის ასაღებად. ასეთი აჯანყება სხვა დიდსა და პატარა ქალაქებშიაც იყო. მუშები და ხელოსნები სდგებოდნენ, იგდებდნენ ხელში იარაღის საწყობებს, იარაღდებოდნენ როგორც შეეძლოთ და აძევებდნენ ყოველგვარ მთავრობას.

ამას გარდა აი კიდევ რა ხდებოდა: ამ დროს, ე. ი. მე-XVIII საუკუნის დამლევს, საფრანგეთის აზნაურობასა, ვაჭრებსა და საზოგადოთ შეძლებულ მოქალაქეთა და აგრეთვე ყველა კლასების განათლებულ ხალხთა შორის დამოუკიდებლობის სურვილი იმდენად იყო განვითარებული, რომ ბატონობა მეფისა და მისი ჩინოვნიკებისა აუტანელი გახდა ყველა იმისათვის, ვინც მონა არ იყო სულით. ესენი დიდი ხანია აცხადებდნენ თავიანთ უკმაყოფილებას, მაგრამ მოქმედებას კი ვერ ბედავდნენ. ეხლა კი ისარგებლეს გლეხთა მოძრაობით და მეტი გაბედულებით წამოაყენეს წინ თავიანთი მოთხოვნილებები. 1789 წ. ძლიერი გლეხთა მოძრაობის დროს, ისინი შეიარაღდნენ მეფის, მის მახლობლების და ჩინოვნიკების უფლებათა შესაზღუდავათ. მათ მოითხოვეს და მიიღეს კიდეც უფლება ხალხის წარმომადგენელთა შეკრებისა, რომელიც მალე დამფუძნებელ კრებად გადაიქცა. მათ მოითხოვეს აგრეთვე ფართო თვითმართველობა გუბერნიებში და ქალაქებში. და რადგან თავიანთ ძალით მათ არ შეეძლოთ გამკლავებოდნენ მეფეს,—ისინი აქეზებდნენ ხალხის აჯანყებას ქალაქებში.

ამგვარად მეფის უფლებას ფრთები შეეკვეცა. რადგან იმის წინააღმდეგ ეხლა ბურჟუაზიაც იყო ამდგარი, მეფეს აღარ შეეძლო ძველებურის სისასტიკით დაემშვიდებია გლეხთა და ქალაქთა აჯანყება. გლეხთა აჯანყება კი თავის მხრივ ხელს უშლიდა მეფეს დაემარცხებია ისინი, რომელთაც მისი უფლებების შემოფარგვლა სურდათ. მუშა ხალხმა, განსაკუთრებით გლეხებმა, ისარგებლეს ამ **მთავრობითი ძალის გაყოფით**, რომ ხელში ჩაეგდოთ მიწები და გაექარწყლებიათ, რაც დარჩა ბატონყმობის წესებიდან. ამგვარ ბრძოლაში ოთხ წელიწადზე მეტი გაიარა, ამ დროს მოხდა მსხვრევა-მტვრევა ყველა ძველი წესწყობილებისა, ხალხიც შეეჩვია თავისუფლებას და როცა მღელვარება დაწყნარდა, საფრანგეთი შეიქნა ახალ ქვეყანად. ის კი არა, მთელი ევროპა წასწია წინ საფრანგეთის მოძრაობამ. ამისათვისაა რომ ვამბობთ, საფრანგეთში მოხდა არა აჯანყება, არა ამბოხება, არამედ დიდი რევოლიუცია. გლეხებმა და მუშებმა ძალიან ფართოდ ისარგებლეს იმ ჩხუბით, რომელიც ბატონებსა და მეფეს შორის მოხდა, რომ გაექარწყლებიათ ყველა ის ნაშთები ბატონყმური უღლისა, რომლითაც სავსე იყო მაშინდელი საფრანგეთი ისე, როგორც დღევანდელი რუსეთი. ყოველგვარი ვალდებულებანი, ყოველგვარი გადასახადები გაუქმებულ იქნენ, ისე რომ არაფერი უზღავთ გლეხებს მემამულეებისათვის. ბევრი მიწები გადავიდა გლეხების ხელში, განსაკუთრებით გლეხთა საზოგადოებების ხელში. ღარიბის, მშიერის, მათხოვარად გამხდარის (როგორც რუსეთი) მაგიერ საფრანგეთი შეიქნა მის მეზობლებთან შედარებით, შეძლებულ ქვეყანად. ბრბო მათხოვარათა, რომელიც იარებოდა სოფლიდან სოფლამდე, როგორც გლეხები რუსეთში, რომელნიც „ფიჩხების“ შესაკრებად დახეტიალობენ, განქრა. შიმშილობაც შეწყდა. და საფრანგეთის იმ ნაწილებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთისაში, სადაც გლეხებმა აჯანყებით მოსპეს ბატონყმური წეს-წყობილება, შედარებითი კეთილდღეობაც დადგა. ამას გარდა სარევოლიუციო არმია საფრანგეთის რესპუბლიკისა მოედვა სხვა ქვეყნებს ბატონყმობის მოსასპობად: იტალიას, ისპანიას, შვეიცარიას, ავსტრიას და პრუსიასაც კი. მეფის თვითმპყრობლობას სამუდამოთ ბოლო მოეღო საფრანგეთში. მას შემდეგ მეფობამ ველარ იხარა იქ თვით ნაპოლეონის დროსაც კი. ამავე რევოლიუციამ საშინლად შეარყია მთელ ევროპაში მეფის თვითმპყრობლობა.

ძალა ეკკლესიისა, რომელიც საშინლად ძლიერი იყო მანამდის, სამუდამოთ შემოფარგლულ იქნა, რაკი მღვდლებსა და მონასტრებს წაერთვათ მათი ქონება. იმავე საფრანგეთის სან-კულოტებმა შეარყიეს-რა საეკლესიო ძალა, სამუდამოთ მოსპეს ამით იტალიაში და ისპანიაში „წმიდა“ ინკვიზიცია. მთელმა მე-XIX საუკუნემ ახორციელა ის, რაც აღნიშნულ იქნა საფრანგეთის რევოლიუციის მიერ. დასასრულ იმდენი იდეია თავისუფლებისა და განსაკუთრებით **თანასწორობისა** იქნა გავრცელებული ხალხში, რომ საფრანგეთი იქიდგან დაწყებული ყველა ნაციებზე წინ სდგას სოციალისტურ და ანარქიულ მცნებების ცხოვრებაში გატარების მხრივ. საფრანგეთმა განვლო რევოლიუცია 1848 წლისა და პარიზის კომუნა 1871 წლისა და ეხლა იმუშავებს ახალ ფორმებს კომუნისტური ცხოვრებისა.

*
* *

აი, მაშასადამე, განსხვავება რევოლიუციასა და უბრალო აჯანყებას შორის. აჯანყებამ შეიძლება საშინელი მკაცრი ხასიათი მიიღოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ეკონომიური ხასიათისაა. ასე იყო პუგაჩოვის მოძრაობის დროს, ასეა დიდი გაფიცვების დროს ამერიკაში. **მაგრამ თუ აჯანყება არ აუძლურებს სახელმწიფო მანქანას მის ცენტრში, ის რჩება აჯანყებათ, ამბოხებათ და არ იქცევა რევოლიუციათ.** სახელეწიფო, თუ მას ძალა კიდევ შერჩა, მალე დაახჩობს რე-

ვოლიუციას. ექსპლოატაცია, რასაკვირელია, უფრო რბილდება ყოველ ამგვარ ქარტეხილის შემდეგ, მაგრამ არსება მისი უცვლელი რჩება.

იგივე მოხდება ხოლმე, თუ აჯანყებას მარტო პოლიტიკური მიზანი აქვს. ფორმა მმართველობისა შეიძლება შეცვლილ იქნას ისე, რომ დიდი ქარტეხილი არ იქნას საჭირო. ასე მოხდა მაგალითად პრუსიაში 1848 წ., როდესაც შეშინებულმ ევროპის საერთო რევოლიუციის მეხით, მეფემ ბერლინის პატარა აჯანყების შემდეგ მიანიჭა ხალხს კონსტიტუცია. მაგრამ რა თქმა უნდა, ასე ადვილად განხორციელებული ცვლილება უვარგისი გამოდგა შინაარსის მხრივ. ოცდაორი წლის განმავლობაში (საფრანგეთთან ომამდი) პრუსიის კონსტიტუცია სასაცილოთ ჰქონდა მთელ ევროპას, რადგან მეფე და შემდეგ ბისმარკი ისე განაგებდნენ ქვეყანას, რომ ყურადღებაა საც არ აქცევდნენ ამ ყურ-მოჭრილ მონურ პარლამენტს. ეს ადვილი მისახვდენია,—ბერლინში იყო აჯანყება—მეტი არაფერი. რევოლიუციას კი დღემდის ელის გერმანია. რევოლიუცია ამგვარად ყოველთვის იქმნის ორი ელემენტისაგან, რომელთა შეთანხმებაც ჰქმნის მას: ერთი მხრით გაფართოვებული **აჯანყება ხალხისა** ქალაქებში და სოფლებში, რომელიც გარდაჰქმნის ხოლმე ეკონომიურ ურთიერთობას, მეორე მხრით **ბრძოლა მმართველ კლასთა შორის** სახელმწიფო ძალის ხელში ჩასაგდებათ. ეს ბრძოლა აუძლურებს თვით ცენტრს სახელმწიფოისა, იგივე მიზეზია, რომ ხელს უშლის მძლავრი მმართველი ძალის აღორძინებას საზოგადოებაში;—ამასობაში ხალხს დრო უდგება, მოახდინოს ცვლილებანი და დაანგრიოს ძველი დახავსებული სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი. ხალხისაგან გამოსული რევოლიუციონერები არღვევენ ეკონომიურ მონობას, ავრცელებენ ხალხში თანასწორობის აზრებს და ძირიანად სთხრიან იმ სულით მონობას, რომელზედაც ემყარება სახელმწიფო, ეკკლესია და კაპიტალი. ერთი სიტყვით, ისინი ახდენენ ცვლილებას ადამიანთა შორის არსებულ ყველა ურთიერთობაში და აგრეთვე მათ აზროვნებაშიც.

აგრე ხდებოდა ყოველთვის დღემდი და ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეხლა რუსეთისათვისაც დადგა წამი დიდი რევოლიუციისა. ინგლისა და საფრანგეთს შემდეგ ჩვენი ჯერი მოვიდა. ეს უნდა შეიგნოს ყველა იმან, ვისაც სურს ეხლა ნაყოფიერი მოქმედება. ჩვენ მოგველის არა მარტო სახელმწიფოებრივი ცვლილება, არა უბრალო გარდასვლა თვითმპყრობლობისაგან კონსტიტუციაზე. არა. გარემოება ისე მოეწყო, რომ რუსეთის ხალხმა უნდა მოახდინოს **დიდი რევოლიუცია**, ე. ი. ძირიანად უნდა შესცვალოს მთელი არსებითი ნაწილი მთელი პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრებისა.

* * *

თვითმპყრობლობის ძირი რომ შერყეულია, რომ წარმომადგენლობითი მმართველობა მონარქიული თუ რესპუბლიკანური აუცილებელია—ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. **მაგრამ არა თუ მხოლოდ ეს, ამაზე ბევრად უფრო დიდი საქმე მოელის რუსეთის ხალხს**. დადგა როგორც იქნა დრო, როცა ის შეიძლებს გამოვიდეს იმ სასოწარკვეთილ, იმ მათხოვრობის მდგომარეობიდან, რომელშიდაც ის დღემდის იმყოფებოდა.

ჩვენი ბურჟუაზიული რევოლიუციონერები გვიმტკიცებენ, რომ უმთავრესი საქმე ეხლა რუსეთში ხალხის წარმომადგენელთა შეკრებაა. ზოგს სურს მიაღწიოს ამ უმთავრეს მიზანს „მშვიდობიან ძალდატანებით“, სხვები კი, რა კი დარწმუნდენ, რომ მშვიდობიანობით არაფერი გამოვა, მზად არიან ტერრორსა და ხალხის აჯანყებასაც მიმართონ. მაგრამ ყველანი თანახმანი არიან იმაში, რომ მოიყრის თუ არა პარლამენტი თავს—უნდა გათავდეს ყოველგვარი მღელვარება. პარლამენტი თითონ გაარჩევს ყველაფერს. ერთი სიტყვით ისე მსჯელობენ, როგორც ბებია ნენილა ნეკრასი ვის ლექსში

„Вотъ пріѣдетъ баринъ: баринъ насъ разсудитъ,
Онъ сейчасъ увидитъ, что плоха избушка,
И велитъ дать лѣсу“, думаетъ старушка.

აქაც ისე,—მოაწევს თუ არა რაიმე საქმე, დიდი და პატარა გაიძახის: „აი პარლამენტი შემოვა და ის ყველაფერს მოაგვარებს“. ტყესაც და მიწასაც მისცემს ვისაც სჭირია...

აი სწორედ ამას ჰქვია საშინლად თავის მოტყუება.

**იმას, რასაც ხალხი თითონ თავის ძალით ვერ აიღებს და ვერ წაიღებს, მას არავინ, არც მეფე და არც პარლამენტი არ მიაშავებს.**

* * *

ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ თვითმპყრობლობასა და კონსტიტუციონალურ მონარქიას ან რესპუბლიკას შორის განსხვავება არ არის. ამას ჩვენ არ ვიტყვით, რადგან ეს მართალი არ იქნება. ჩვენ ყოველი ძალ-ღონით იმ **დამძინებლებთ** ვეწინაალმდეგებით, რომელთაც სურთ რუსეთის ხალხი დაარწმუნონ, რომ დამყარდება თუ არა ახალი ბატონი—კანონმდებლობითი კრება—ის მაშინვე გაანთავისუფლებს ხალხს საუკუნების მიერ დამყარებულ მონობისაგან, მოაშორებს მას აგრეთვე სიღატაკესაც, აი რას ვეწინააღმდეგებით ჩვენ, განსხვავება კი, რომელიაც არსებობს მონარქიასა და მით უფრო იმპერიასა და რესპუბლიკას შორის, ძალიან კარგად გვესმის. მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე, რაში ჰგვაან ისინი ერთმანეთს—განსაკუთრებით მაშინ, როცა მუშეპზე და გლეხებზეა საუბარი. ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ რომ რესპუბლიკაში სახელმწიფოებრივი ძალა უფრო სუსტია, ვინემ მონარქიაში. და ჩვენ სრულიად არ გვწყინს ის რომ მხეცს კლანჭები მაინც აქვს დაჭრილი. მაგრამ ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ რა დაჭრილიც უნდა იყოს ეს კლანჭები, ის მაინც საკმარისია რომ საშინელის სიმუყაითით დაიცოს კაპიტალისტი. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ რესპუბლიკაში ერთი ცრუმორწმუნეობა არ არის—რწმენა ღარიბთა მდიდრებისაგან მფარველ მეფისა. ამას ჩვენ მით უფრო ვაფასებთ, რომ ჩვენ კარგად ვიცით თუ რა ძლიერია, ზოგიერთ სოციალისტთა შორისაც, რწმენა ცეზარიზმისა, ე. ი. ხალხურ იმპერატორ-დიქტატორისა, რომელიც განახორციელებს მუშათა სასარგებლო კანონმდებლობას: გაიხსენეთ ბულანჟეს საქმე.

ვიცით აგრეთვე რომ დიადი ახალგაზდა ძალები, რომელთაც თავი შესწირეს იმას, რომ გაენთავისუფლებიათ კაცობრიობა პლეევესა და სერგეისაგან, ან და კიდევ გუმბერტოსაგან, რომელმაც იმოდენა ხალხი დაახოცინა მილანის ქუჩებზე, კანოვასისაგან, რომელიც ანარქისტებს აწამებდა,—ჩვენ ვიცით რომ ის ძალები, რომელნიც ამ გველების თავიდან მოშორებაზე დაიხარჯა, უფრო კარგად და ნაყოფიერად მოიხმარება ისეთ საზოგადოებაში, რომელიც თავისუფალ არის მეფეებისაგან, ხელმწიფეებისაგან დასამლვდელო-საპოლიციო მინისტრებისაგან; ერთი სიტყვით ისეთ საზოგადოებაში, სადაც წმინდა ბრძოლა სწარმოებს მუშასა და კაპიტალისტს შორის. ჩვენ ისიც კარგად ვიცით, თუ რა მშვენიერი ახალგაზდა ძალები დაიღუპა ამ ორმოცი წლის განმავლობაში ხელმწიფის ძალასთან ბრძოლაში, სანამ ამ ახალგაზდობის ხმა ხალხამდის მიაღწევდა...

ვიცით ჩვენ ეს. **ჩვენ ეს წამები გვიცხოვრია.** მაგრამ

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ხალხს ვერც ერთი პარლამენტი ვერ მისცემს და **არც შეუძლია მიცემა იმისა,** რასაც თვით ხალხი ვერ აიღებს თავის ძალით. საფრანგეთის ხალხი სოციალურ რევოლიუციის მხრივ მოწინავე ხალხათ იმისათვის შეიქმნა, რომ იქ ხალხმა ძალით, სარევოლიუციო მოქმედებით დაანგრია ბატონყმური წესწყობილება. იქ მას განხორციელებული ცვლილებანი პარლამენტისაგან კი არ მიუღია საჩუქრად. თვით რევოლიუციის დროს, მრისხანე კონვენტს, რომელმაც დასაჯა მოღალატე-მეფე და მისი ოჯახობა არაფერი არ უქნია გარდა იმისა, **რომ აღიარა ის რაც ხალხმა თვით მოიმოქმედა,** უკითხავად, თავის საკუთარი სარევოლიუციო ძალით ბატონყმურ ურთიერთობის დასანგრევად. როცა გლეხებმა **საქმით** გააუქმეს ყველა ყოფილი ფეოდალური ვალდებულებანი, წაართვეს მემამულეებს მიწები,—**მხოლოდ მაშინ აღიარა** კონვენტმა ეს ფაკტი და დააკანონა იგი. აგრეთვე ინგლისში, რომელიც აჭრელებულია მემამულე—ფეოდალთა ციხე—კოშკების ნანგრევებით.

იკითხეთ, ვინ დაანგრია ეს ბატონყმობის სიმაგრე-ციხეები, და ასე გიპასუხებენ: „კრომველის რაზმებმა", ე. ი. გლახების რაზმებმა, რომელნიც მის დროს მოქმედებდნენ და, რა თქმა უნდა, არა პარლამენტმა. ის კი არა, არავითარი პოლიტიკური გარდაქმნა არ მოხდებოდა არც ინგლისში და არც საფრანგეთში, რომ ხალხს, განსაკუთრებით გლეხებს არ დაენგრიათ თავიანთ სარევოლიუციო მოქმედებით ბატონყმური წესწყობილება, როგორც ეკონომიურ ისე პოლიტიკურ მიდამოში.

* *
*

აი რისთვის არის საჭირო შეგნება იმისა, რომ რუსეთი შედის ეხლა **რევოლიუციის** და არა უბრალო მთავრობის გამოცვლის ხანაში. ცხადია, რომ დღეიდან შეუძლებელია დარჩეს სახელმწიფო ძალა მეფისა და მის ჟანდარმ-პოლიციელ ჩინოვნიკების ხელში. ეჭვს გარეშეა, ეს ძალა ხალხის წარმომადგენელთა კანონმდებლობით კრებას უნდა გადაეცეს. ეს ასეც მოხდება, რამდენი ხალხის სისხლიც უნდა დაღვარონ რომანოვებმა. რამდენ მეტს ხალხის სისხლს დაღვრიან რომანოვები, მით უფრო მოამზადებენ ისინი მონარქიის რესპუბლიკად გარდაქმნას.

მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთმა ფედერალური რესპუბლიკა შეერთებულ შტატებისა მსგავსად რომ გამოაცხადოს, მაშინც რესპუბლიკა უბრალო უშინაარსო სიტყვა იქნება, რომელი ვერც კი იცოცხლებს, თუ ამ პოლიტიკური გარდაქმნით არ ისარგებლებს რუსეთის ხალხი **და ძირეულად არ შესცვლის ეკონომიურ ურთიერთობას.** რითაც უნდა გათავდეს მომავალი პოლიტიკური გარდაქმნა, გათავდება ის კონსტიტუციით თუ რესპუბლიკით, ერთი რამ ცხადია: **ამიერიდან რუსეთის ხალხს აღარ უნდა შიოდეს.** დროა ეს შიმშილობა **სამუდამოთ** გაჰქრეს.

დროა რომ გლეხი თვით იკვებებოდეს იმ პურით, რომელიც მას თავის შრომით და ოფლით მოჰყავს! დროა მოიშოროს კისრიდან ბატონყმური ჯაჭვები, რომელიც შერჩა მას 1861 წლიდან და აგრეთვე ის ჯაჭვებიც, რომელნიც მას შემდეგ მოახვიეს კისერზედ. დროა ხელოსანი, მუშა გამოვიდეს მონობისაგან და გახდეს თავისუფალ კაცად, თავის ბატონ-პატრონად. დროა, დრო! მაგრამ არავინ არ იზამს ამას, არავინ არ მოუტანს მუშა კაცს სიკეთეს, სანამ ის თითონ არ ადგება და თავის ძალით არ გააკეთებს ყველა ამას. ისინი ვისაც პარლამენტის რწმენა აქვთ, იჯდნენ პარლამენტში და იმუსაიფონ მედიდურად იმაზე, თუ როგორ მოაწყონ საქმე, რომ მგელი-მემამულეები, ტურა-კაპიტალისტები და ცხვარი-მუშები ერთად იყვნენ ისე, რომ ერთმანეთი არ დასჭამონ! ჩვენ ამისთანა რამეზე დროს ვერ დავხარჯავთ. პარლამენტში ჩვენ არაფერი საქმე გვაქვს, „ახალ-ბატონად" გახდომა ჩვენ არ გვსურს. ჩვენი საქმე სულ სხვაა, ჩვენი საქმე ხალხთან და ხალხშიდ არის. ჩვენი საქმე არის ყოველ ქალაქში, ყოველ სოფელში, დიდში და პატარაში, რომ იქ საქმით დავანგრიოთ პოლიტიკური და ეკონომიური მონობა. ვიკისროთ ინიციატორობა ამ დანგრევისა იქ, სადაც საერთო შეგნება ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა ამ დანგრევის საჭიროებას, გავაღვიძოთ აჯანყების სული ხალხში, შევაგნებიოთ ყველას თავის ძალა, შევქნათ მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ და შეგნება ყველას თანასწორობისა. დავეხმაროთ ხალხს შეიარაღებაზე, დავეხმაროთ, რომ მან გამოგლიჯოს ხელიდან აფთრებს მიწა. ავიღოთ ფაბრიკები, ქარხნები, მადნები და დავეხმაროთ ხალხს მათი მოწყობის საქმეში თავისუფლების და საზოგადოებრივობის ნიადაგზე. იქ, სადაც შესაძლებელია **ხალხის საზოგადოება—კომუნა**—გამოვაცხადოთ, რათა ხალხმა ისარგებლოს კუმუნალურად სახლებითა და დაწესებულებებით, არსებული სიმდიდრითა და სიკეთით. ერთი სიტყვით ხალხთან ერთად და **საქმით** შევეცადოთ უკეთესი მომავლის განხორციელებას,—აი ჩვენი აზრით, ვალდებულება ყოველი გულმწრფელი რევოლიუციონერისა. ასე ესმით ანარქისტებსაც მათი მოვალეობა.

დიდი რევოლიუცია ხდება ევროპაში დაახლოვებით ყოველ ას წელიწადს ყოველთვის სხვა და სხვა ქვეყნებში (ჰოლანდია, ინგლისი, საფრანგეთი); ყოველ რევოლიუციას არა თუ გაჰყავს ცხოვრებაში ის, რაც აღნიშნულ იყო წინასწარ-რევოლიუციით, არამედ აფართოებს და აღრმავებს კიდევ უფრო წინასწარ-რევოლიუციას.

ნუ დაგვავიწყდება რომ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ უკვე წამოაყენა საკითხი: დაუბრუნდეს მიწა გლეხს, აღიარებულ იქნას ყოველი ადამიანის უფლება მიწაზე და გაუჭირვებელ ცხოვრებაზე, (ფაბრიკა-ქარხნებზე მაშინ არას ამბობდნენ, რადგან ამ გვარი წარმოება მხოლოდ მაშინ ისახებოდა) და თუ საფრანგეთის ხალხმა ვერ შესძლო განეხორციელები „აგრარული კანონი" და „ადამიანთა ქონების მხრივ გათანასწორება", როგორც მაშინ ამბობდნენ, ეს იმისათვის კი არ მომხდარა აგრე, რომ ვითომ ხალხს არ ესმოდა ეკონომიური თავისუფლების საჭიროება. მას ეს ყოველთვის ესმოდა არა ნაკლებ ჩვენი სოციალისტურ მწერლებისა. თუ მან ვერ შესძლო თავის მისწრაფების განხორციელება, ეს არის იმ ომისბრალი, რომელიც მთელმა ევროპამ და განსაკუთრებით ბურჟუა—არისტოკრატიულმა ინგლისმა გამოუცხადა რევოლიუციას. სანკიულოტები იძულებულ იყვნენ ებრძოლათ თვით რევოლიუციის უფლების დასაცავად. თავის სისხლით უნდა დაეცვათ ის, რაც უკვე წაავგლიჯეს ბატონებს. აი რამ შეუშალა ხელი, თორემ უკვე მიჰყო ხელი საფრანგეთის ხალხმა თანასწორობისაკენ გზის გაყვანას. სურათი სოციალური რევოლიუციისა უკვე მაშინ ეხატებოდათ წინ საფრანგეთის მუშებსა და გლეხებს.

ის რაც ვერ დაასრულა მაშინ საფრანგეთის რევოლიუციამ, უნდა დავასრულოთ ჩვენ, ევროპის მეორე მხარეში, რ[illegible] კი ისტორიულმა მსვლელობამ ასი წლის შემდეგ, გვარგუნა ბედად დიდი საქმე—ხალხის განთავისუფლება ნამდვილ თანასწორობის, ნამდვილ თავისუფლების და ნამდვილ ძმობის ნიადაგზე.

**პეტრე კროპოტკინი**

## დუმა, „პარტიები" და კარზედ მომდგარი რევოლიუცია

—

რაც რუსეთის „საზოგადოებას" და "პარტიებს" ეხლა ყურადღება აქვთ მიქცეული დუმაზედ და ეგრედ წოდებულ ხალხის წარმომადგენელებზედ, ძლიერ სასაცილოა, ძლიერ სამწუხარო რომ არ იყოს. თითქმის მთელი მათი ყურადღება, მთელი ენერგია, აგრეთვე მთელი ორატორული სიმკაცრე და ნიჭი ამ „ხალხის წარმომადგენელთა", ამ რევოლიუციისა და რეაქციის უკანონო შვილისაკენ, დუმისაკენ არის მიმართული; ამ დაწესებულებაში ტრიალებს მთელი მათი გონება და მომავალი რევოლიუციის სიდიადეს ვერც კი ჰგრძნობენ, ვერ ითვალისწინებენ მის მრავალფეროვან გამოხატულებასა და იმ მსოფლიო როლს, რომელსაც ის ითამაშებს.

რა კითხვები არ გინდა, რომ არ ირჩეოდეს დუმაში. იმ „წვრილი" კითხვებიდან დაწყებული, რომელსაც ჩვენ პოლიტიკურ რეფორმებს ვუწოდებთ, უღრმეს კითხვებამდის, როგორიც არის აგრარული და მუშათა კითხვა,—მთელი ეგრედ წოდებული სოციალური კითხვა,—ყველას ეპოტინებიან დუმაში, ყველას გადაწყვეტას ელის „საზოგადოება". ეს უკანასკნელიცა და დუმაც იმასა სცდილობს, იმისი იმედი აქვს, რომ „რუსეთის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და მშვიდობიანათ განხორციელდება ყველა რეფორმები, მშვიდობიანად გადაწყდება ყველა კითხვები, რომელიც აღელვებს ეხლა მთელ ჩვენ თვალუწვდენელ სამშობლოსაო".

თუ დღეს დუმა ვერაფერს ანხორციელებს, მათი აზრით ეს სულ მთავრობის ბრალია, სულ სამინისტროს რეაქციონერობა იწვევს ყოველივე უბედურობას;—გადადგება რეაქციონური სამინისტრო, დაიჭერს მის ალაგს ლიბერალური, კონსტიტუციონალური სამინისტრო, და მაშინ რევოლიუციაც მშვიდობიანი განვითარების სამფლობელოში შეჰყოფს თავსო. აილეთ რომელიც გინდათ დუმის პარტია,—კადეტები, ს. -დ. — ები და სხვა და სხვა რადიკალურ [illegible] ტურ ფერად შეღებილი პარტიები. ყოველი კითხვა მათთვის იხე ადვილად სწყდება, თითქოს რევოლიუციის მრავალნაირ ძალთ მართლაც და ამ დუმაში მოეყაროს თავი და ეს დუმა იყოს ნამდვილი იარაღი ამ კითხვათა ნამდვილი გადაწყვეტისა,—მაგრამ ნამდვილად კი სასაცილოდ. უდიდესი კითხვა, რომელიც წამოყენებულ იყო ხოლმე ყველა დიდ რევოლიუციათაგან, და განსაკუთრებით დამშეული რუსეთის რევოლიუციისაგან,—ეს დიდი, მაგრამ უბრალო კითხვა პურისა და თავისუფლებისა თავის დღეში ვერ გადასწყდება დუმაში, თუმცა ყოველი სხდომის დროს, ყოველ წამში ეპოტინება ამ კითხვის გადაწყვეტას თვითოეული ცოტად თუ ბევრად მოწინავე წევრი დუმისა.

აგერ წინაზედ შიმშილობის კითხვა ირჩეოდა. შეეკითხენ მინისტრებს, დაუმტკიცეს, რომ მთავრობა ისეთი გაიძვერა და სასტიკი იყო ყოველთვის და ეხლაც, რომ დამშეულთა დახმარებასაც არ ანებებდა ხალხის გულ-შემტკივართ იმისი შიშით, რომ პოლიტიკური აგიტაცია არ გაეწიათ დახმარებასთან ერთად. მინისტრმა პასუხი გასცა, აღნიშნა ის 80 მილიონი, რომელიც მისი სიტყვით დაიხარჯა დამშეულთა დასახმარებლად. შემკითხველები ამით არ დაკმაყოფილდნენ, რასაკვირველია, ...და იმ დასკვნამდის მივიდენ, რომ მხოლოდ თავისუფალი მთავრობა, თვითმპყრობელი მთავრობის მოსპობა გამოიწვევს სიმშილის საშინლების მოსპობას, რომლის მსხვერპლიც ეხლა ხალხიაო.

ეს კი გადაწყვეტაა კითხვისა? სრულიადაც არა, და არა მგონია, რომ თვით დეპუტატებმა ეს კარგად არ იცოდენ. გულ წრფელად რომ დასვან ეს კითხვა, იმდენი გამბედაობა რომ ჰქონდესთ თავიანთ საკუთარი გულისა და გონების წი-

---

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## მუშათა მოძრაობის ისტორიიდან

### ინტერნაციონალი

### VI

„თავის პოლიტიკურ მტერთათვის მარქსი შეუბრალებელი იყო, ამბობს ტუგან-ბარანოვსკი, *) მისი მტრად გახდომა კი ძნელი არ იყო,—ამისათვის საკმარისი იყო არ ყოფილიყავით მისი მიმდევარი. მისი ბიოგრაფიის, უსამწუხროესი ადგილი არის იქ, სადაც აწერილია ურთიერთობა დიდებული ეკონომისტისა იმ გამოჩენილ პირებთან, რომლებსაც მარქსი შეხვდენია შემთხვევით და რომლებთანაც მას მოხდენია პრინციპიალური განხეთქილება. ამ მხრით ჩვენ უკვე შევეხეთ მარქსის ცხოვრებას, როცა პრუდონზე ვლაპარაკობდით. მარქსის ურთიერთობას ლასალთან ახასიათებს იგივე ბოროტი გაუტანლობა იმ რწმენისა, რომელიც არ ეთანხმება სისრულით მის საკუთარ აზროვნობის მანერას. თავის დიდების უმაღლეს წერტილზე მყოფი ლასალი, დაამფუძნებელი გერმანიის მუშათა პარტიისა, შემქნელი ისეთი დიდი საქმისა, რომელსაც მარქსის თანაგრძნობა უნდა ჰქონოდა, მოკვდა თუ არა, უმანდელმა მეგობარმა „კაპიტალის" წინასიტყვაობის პირველ გვერდზედვე მოათავსა რამოდენიმე სტრიქონი (пренебрежительныя строки), რომელთა აზრი იყო დაემცირებია ლასალი საზოგადობის თვალში. იმავე „კაპიტალში" (პირველი გამოცემა) ულირსაც წაჰკრა გერცენსაც პრჭყალები. გერცენს კარგად იცნობდა მარქსი და ცუდად ეპყრობოდა მას. საზოგადოთ პოლემიკურ შეტაკებას მარქსისას ვინმესთან აქვს ხასიათი პირადი სიძულვილისა და ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას ახდენენ კაცზე, რადგან მასშიდ სჩანა **მორალური ტაქტის უქონლობა**. ძნელი სანახავია სხვა ისეთი ოსტატი ვინმე, გარდა მარქსისა, რომელსაც შეეძლოს გაქარწყლება თავის მოწინაალმდეგისა გესლიანი ზიზლის გამოხატვით. ძნელი სანახავია აგრეთვე მეორე მწერალი, რომელიც ასე ხშირად და სიამოვნებით ხმარობდა ამ იარაღს. განსაკუთრებული სიძულვილით მარქსი სდევნიდა ბაკუნინს და თავის მოწინაალმდეგესათვის რომ ჩირქი მოეცხო ის არაფერს არ ზოგავდა. 1848წ. მარქსის გაზეთში—"Neue Rheinische Zeitung"დაბეჭდილ იყო კორესპონდენცია პარიზიდან, სადაც გაღაჭრით იყო ნათქვამი, რომ ჟორჟ-ზანდს აქვს ხელში დოკუმენტები, რომელნიც ამტკიცებენ (устанавливаютъ), რომ ბაკუნინი წევრია ფარული პოლიციისაო. ჟორჟ ზანდმა აღშფოთებით უარჰყო ეს ინსინუაცია და მარქსიც იძულებული შეიქნა უსაფუძვლოდ ეცნა თავის ბრალდება. მიუხედავად ამისა რამოდენიმე წლის შემდეგ მარქსის მეგობრებმა განაახლეს კამპანია ბაკუნინის წინაალმდეგ და განიმეორეს იგივე ბრალდება და იგივე უმდაბლესი ხასიათის ცილის წამება. გერცენი იძულებული იყო არა ერთხელ დაეცვა თავისი მეგობარი. როცა დაფუძნდა საერთაშორისო ამხანაგობა, მარქსმა, რათა თავიდან აეცდინა მტრობა ბაკუნინისა, განაახლა ბა-

---

*) იხ. Очерки изъ исторіи политической экономіи. „Міръ Божій". Іюнь 1902 г. стр. 162—4

ნაშე,—მაშინ უბრალო ანგარიშითაც მიახწევდნენ იმ დასკვნამდის, რომ ხალხის სიმშილის მიზეზი ის კი არ არის რომ თვითმპყრობელობა არსებობს, როგორც თვითმპყრობელობა, ის კი არ არის, რომ სამინისტრო არ ეხმარება ხალხს და სხვასაც უშლის დახმარებას,—არამედ ის, რომ რუსეთის ხალხს მილიონობითა ყავს სარჩენი არა-მწარმოებელი პარაზიტი,—დაწყებული ბოქაულებითა და მინისტრებით, — მემამულეებამდის, მღვდელ-ეპისკოპოსებამდისა და კაპიტალისტებამდის. რაც რუსეთში ბიუროკრატი, პოლიციელი, მემამულე, მღვდელი, სალდათი და ღენერალი, ათიათასობით მსხვილი და წვრილი პარაზიტია,—მათი ყოველ დღე რჩენა და ომისათვისაც კი მილიარდების ძლევა,—რომელსაც გინდა ხალხს ძირიანად გაანადგურებს,—და რა შუაშია აქ ესე თუ ის ფორმა მთავრობისა,—გორემიკინის კაბინეტი იქმნება თუ მურომცევის ან თუ გინდ თვით ალადინისაც?—აგერ წინაზედ კლემანსომ უთხრა ჟორესს,—თქვენ რომ ჩემს ადგილზედ ყოფილიყოთ, თქვენს ადგილზედ სხვა ვინმე იქნებოდა, და როგორც ეხლა თქვენ მე მაყრით რისხვის მეხს,—ისეთივე მეხი თქვენ დაგეცემოდათ მისგან თავზეო. მართალი იყო კლემანსო, საქმე კაცებში კი არა, საქმე თვით სოციალურ სისტემაშია, რომლის დანგრევა მხოლოდ ხალხის რევოლიუციას შეუძლია, რასაც პირდაპირ მოჰყვება ყველა იმ კითხვათა გადაწყვეტაც, რომელსაც თვით რავოლიუცია აყენებს.

არა, ბ. დეპუტატებო! მოსპეთ მთელი ბიუროკრატია, მოსპეთ ჯარი და პოლიცია, ომის პირობები, მოსპეთ მემამულეები, კაპიტალისტები, თვითმპყრობელობაც და ყოველივე ფორმაც მთავრობისა, მოსპეთ ხალხის სისტემატიური ექსპლოატაცია, სისტემატიური ძარცვა გლეჯის ორგანიზაცია,—მოაწყვეთ წარმოება ისე, (რაიც თქვენ არ შეგიძლიანთ) რომ ყოველივე მწარმოებელსა ჰქონდეს სრული შეძლება დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი თავისი საკუთარი შრომით, და მაშინ ალარ იქმნება ს[illegible] „გადაუწყვეტელ“ კითხვათა გადაწყვეტა, რომელსაც თქვენ ასე უნაყოფოდ აყენებთ უკვე ერთი საუკუნეა—მთელი ევროპის პარლამენტები,—განა მარტო თქვენ, ბ. ბ. რუსეთის ხალხის წარმომადგენელნო.

თქვენივე გადაწყვეტა აგრარული კითხვისა აგრეთვე არა—რაციონალურია. რომელიმე კუდ-მოგლეჯილი აგრარული რეფორმა ს.-დ—ისა, ან მუნიციპილიზაცია, ან საკაბინეტო და დიდ-მემამულეთა ექსპროპრიაცია, ან რაღაც უცნაური ნაციონალიზაცია (რუსეთის დიდ იმპერიაში!) მიწისა,—ყოველივე ეს ვერა სწყვეტს კითხვას სრულიად, ვერ ათავისუფლებს ხალხს ზემოხსენებულ მილიონ პარაზიტთაგან,—და მაშასადამე ძირი ხალხის უბედურობისა რჩება ხელუხლებლად.

თქვენ მიერ გადაწყვეტა მუშათა კითხვისა ხომ სულ მართლაც სირცხვილ მოკლებულია· დღეს არ არის რუსეთში არც ერთი პარტია, არა თუ დუმაში, არამედ თვით რევოლიუციონურ პარტიათა შორისაც (მაგალითად ს. რ ების უმეტესი ნაწილი), რომელიც მუშებზედ არ ამყარებდეს თავიანთ იმედებს, და ამასთანავე აქვსთ მათ რომელიმე ზომა მისი ექსპლოატაციის წინაალმდეგ, მძვინვარე კრიზისებისა, უმუშაობისა და განმანადგურებელი კაპიტალისტური სისტემის წინაალმდეგ?—არავითარი! პირიქით, ისინი ყოველთვის ემხრობიან ბურჟუაზიას, როგორც მოკავშირესა და ჯერ-ჯერობით რევოლიუციონურ ელემენტს. დუმაში კი ყოველ დღე შეკითხვაა მუშათა დახვრეტის შესახებ, გაფიცულთა წინაალმდეგ იარაღის ხმარების შესახებ და კიდევ ვინ იცის რამდენი რამ, თითქოს ამ შეკითხვით, ან თვით „პოლიტიკური თავისუფლების“ დამყარებით უმთავრესი ნაწილი სოციალური კითხვისა,—მუშათა კითხვა გადასწყდებოდეს.

---

კუნინთან ურთიერთობა და, როგორც ბაკუნინი თვით მოწმობს, არწმუნებდა რომ მე შენი გულ-წრფელი მეგობარი და ღრმად პატივის მცემელი ვარო“. ინტერნაციონალში ბაკუნინი მარქსის წინაალმდეგი შეიქნა და რასაკვირველია აქაც არ ასცდა მას საშინელი დევნა მარქსისტებისა. მარქსი უმეტეს ნაწილად კულისებში იყო (ე. ი. ღიად არ მოქმედებდა კ. რ.), მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ხელ-მძღვანელი ბაკუნინის მოწინააღმდეგე კამპანიისა იგი იყო. არ იყო არც ისეთი სიმდაბლე, არც ისეთი დანაშაულობა, რომელიც არ შეეწამებინათ ბაკუნინისათვის.

ყველა ეს ფაქტები საკმაოდ ახასიათებენ მარქსის ურთიერთობას მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთადმი. თავის მეგობრებთან, თავის კერძო ცხოვრებაში ის სულ სხვა იყო. მზგავსად სხვა ძლიერ გვამთა ის გულკეთილი იყო ყველა იმასთან, ვინც ალიარებდა და ემორჩილებოდა მის ავტორ ტეტს. მრისხანე პოლიტიკური მებრძოლი, თავის ოჯახის კერასთან, თავის დაახლოვებულთა წრეში, თავის ოჯახში, რომელიც მას ძლიერ უყვარდა, გადიქცეოდა ხოლმე მხიარულ, ენა-მახვილ და მომასპინძლე მესაუბრედ. ლიბკნეხტის სიტყვით, ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი მარქსისა იყო მისი სიყვარული ბავშებისა, ის გრძნობდა მოთხოვნილებას ბავშების საზოგადოებაში ყოფნისა და შეეძლო მთელი საათობით ეთამაშნა ბავშებთან. მაგარი და ჯან მთელი ორგანიზმისა და აგრეთვე სწორი, თუმცა ნაღვლიანი ხასიათის მქონე მარქსი დიდი მოყვარული იყო უბრალო დროს გატარებისა და მხიარულებაც ხშირი სტუმარი იყო მის სახლში. ძნელი სათქმელია იწვევდა თუ არა მარქსი სიყვარულს, მაგრამ ეჭვს გარეშეა, ბევრნი თავს იხრიდნენ მის წინაშე და მისთვის თავდადებულნი იყვნენ. **თავის ერთგულ ქვეშევრდომთათვის ის მოწყალებიანი მბრძანებელი იყო, მაგრამ არაფერი მგზავსი თანასწორობისა არ არსებობდა მარქსის დაახლოვებულთა წრეში.** (Но ничего пахожаго на равенство не было въ интимномъ кругу Маркса). **ერთად ერთი ის მეფობდა და სხვა ყველანი მისი ყურ მოჭრილი მონები და შაგირდები იყვნენ. და ვაი იმ შაგირდს, რომელიც გაბედავდა და არ გაუგონებდა მასწავლებელს!...**

ზნეობრივი ატმოსფერა, რომელშიდაც მეფობდა ეს სულიერი მთავარი, გვარიან კარგად არის დახასიათებული ერთ სახუმარო კილოზე დაწერილი წერილით; ეს წერილი მოჰყავს ლიბკნეხტს. ლიბკნეხტი მარქსის ერთგული შაგირდი იყო, მაგრამ ხან და ხან ეურჩებოდა თავის სასტიკ მასწავლებელს. ეს წერილი ლიბკნეხტმა მიიღო ერთი მეგობრისაგან, რომელიც კარგად იცნობდა მარქსის დაახლოვებულ წრეს. მეგობარი იწვევდა ლიბკნეხტს, რომ მას მიეღო მონაწილეობა გაზეთში, რომელის გამოცემასაც ის აპირებდა. „აქ მაინც შენ თავისუფალი ადამიანი იქნები, სწერდა მეგობარი ლიბკნეხტს, გექნება შეძლება დამოუკიდებლად მოქმედებისა. მად კი (ე. ი. მარქსის წრეში. კ. ო.) შენ რა ხარ? სათამაშო სხვის ხელში—ვირი, რომელსაც ჯერ მძიმე ტვირთს აწიკვინებენ, მერმე კი დასცინიან. რა არი თქვენი სულიერი სამეფო? მაღლა ტახტზე ზის ყველაფრისა მცოდნე ბრძენთა ბრძენი დალაი-ლამა მარქსი. მას მერმედ დიდი, დიდი ცალიერი ადგილია. მერმედ მოდის

ამ უკანასკნელის გადაწყვეტაც აგრეთვე თვით მუშა ხალხს შეუძლია, თვით რევოლიუციას, რომელიც მოსპობს კაპიტალისტებსაც და ყოველგვარ მთავრობასაც, სულ სოციალისტურიც რომ იყოს იგი, თუ მართლა ნამდვილად გაიმარჯვა რევოლიუციამ.

მხოლოდ მაშინ გადაწყდება ეს „მუშათა კითხვა“, წამოყენებული რევოლიუციის მიერ.

დიახ, ბ ბ. ხალხის წარმომადგენელნო! თქვენ იმდენი გონების სითამამე არა გაქვთ, რომ „კითხვათა“ ძირებს შეეხოთ, და ამისი ზოგიერთი უფლებაც გაქვთ, რადგანც ამ შემთხვევაში ერთ წამსაც ველარ გაჩერდებოდით დუმაში, გახვიდოდით იქიდამ და ხალხში ბრძოლით გამოიყიდდით თქვენი პარაზიტობის დანაშაულს. ჟურნალ-გაზეთები რომ აიღო, — ყოველმხრივ გაიძახიან, — რუსეთში არ არსებობს წესიერება, რუსეთში „ანარხიაა“, რუსეთს არავინ არა მართავს, რუსეთში ჯერ არ დამყარებულა ძლიერი სახელმწიფო უფლებაო. აგერ წინაზე „Наша Жизнь“-ში ერთი რედაქციის ვირთხაც წუწუნებდა ამ თემაზედ და, განვიმეორებთ კიდევ, თავის პოლიციური ჟამგონით, მთავრობას ვითომც ანარხისტულ პრინციპს აწერდა, — чемъ хуже — тѣмъ лучше-ო. ჯერ ერთი რომ ანარხისტებს ამგვარი პრინციპი თავის დღეში არა ჰქონიათ, ან თუ ხმარობდენ ამ სიტყვას, თავის დღეში იმ აზრით არა, რომ მაგალითად თვითმპყრობელობა სჯობია რესპუბლიკასაო. მეორე — რუსის გაზეთის წუწუნი, რუსეთში მმართველი ძალა არ არისო, — ნათლად ამტკიცებს სწორედ ყველა მისს მსგავსთა შიშს ანარხიისადმი.

დიახ, ანარხია რევოლიუციის მომასწავებელია. ხოლო ყველა ბურჟუაზიულ და სახელმწიფო დაწესებულებაში — ანარხიის დამახასიათებელია. რუსეთში რომ დღეს მძლავრი ხელი არ მართავს საზოგადოებას, — ეს დიადი მოვლენაა, რომელიც ახლო მომავალში დიდ რევოლიუციას გამოიწვევს და ხალხიც თვით გადასწყვეტს იმ კითხვებს, რომელთაც დღეს დუმა და პარტიები ეპოტინებიან და ვერ გადაუწყვეტიათ, — პირდაპირი პასუხის მაგივრად — ერთსა და ამავე პასუხს იძლევიან ყველა კითხვებზედ, და ამ პასუხს არავითარი კავშირი არა აქვს არც ერთ დაყენებულ კითხვასთან.

როდესაც სიმშილობის კითხვას აყენებენ, ერთად ერთი პასუხიაშესაძლებელი, — პური ყველასათვის. როდესაც აგრარულ კითხვას აყენებენ, — მიწა მშრომელთათვის; როდესაც მუშათა კითხვას აყენებენ — საწარმოვო იარაღი ყველასათვის. როდესაც თავისუფლების კითხვას აყენებენ, — თავისუფლების მოპოვება ბრძოლით, მთავრობის სრული მოსპობა. როდესაც ერთი სიტყვით ეკონომიური და პოლიტიკური კითხვები დასვა თვით რევოლიუციამ სავსებით, პირდაპირ, — პარტიებმა და დუმამ ვერ გასცეს პასუხი ვერც ერთ ამ კითხვაზედ. ეკონომიკაში — კუდ მოგლეჯილი პასუხი და პოლიტიკაში, — მონობის ფორმის შეცვლა, — აი როგორ მოიქცენ სოციალისტური პარტიებიც კი. დუმამ კი ერთი და იგივე პასუხი გასცა ყველას, — მძლავრი, მძლავრი მმართველი ხელი და რაღაც პოლიტიკური „ნახევარი თავისუფლება“. დრო არის განთავისუფლდენ ამგვარ აბსურდულ პასუხისაგან, რადგანაც რევოლიუცია თვით მოდის და შეუდგება თავისი ძალ ღონით თავის მიერვე წამოყენებულ კითხვათა გადაწყვეტას.

ეს კითხვები კი მარტო რუსეთის არაა, ეს კითხვები საქვეყნოა, და ვინ იცის, — კიდევ არ ვიტეხთ გულს და კვლავ განვიმეორებთ, — იქნებ რუსეთის რევოლიუციის მიერ ამ საქვეყნო კითხვათა გადაწყვეტის ცდამ მთელი ქვეყნის მარივაც გამოიწვიოს იგივე ცდა.

რუსეთის რევოლიუცია დასაწყისი, ან ნიშანი ხომ არ იქნება საყოველთაო ევროპის სოციალური რევოლიუციისა?

Bâton.

---

ენგელსი. იმას მერმედ კიდევ დიდი, დიდი ცალიერი ადგილია, — მერმედ მოდის ვოლფი. ვოლფს შემდეგ კიდევ დიდი, დიდი ცალიერი ადგილია და ამის მერმედ შეიძლება იყოს ადგილი „სანტიმენტალურ ვირი ლიბკნეხტისა“.

აი როგორ ახასიათებს მარქსსა და მის „გონებრივ სამეფოს“ ტუგან ბარანოვსკი, რომელიც დიდხანს იყო და დღესაც არის, თუმცა ნაკლებად, თაყვანის მცემელი მისგან ასე მშვენიერად დახასიათებულ ,სულიერი მთავარისა“. ადვილი მისახვედრია, რომ ბაკუნინი, თაყვანის მცემელი თავისუფლებისა და „ფანატიკოსი“ თანსწორობისა ვერ მოეწყობოდა ამ გვარ მიდამოს, სვერ შეურიგდებოდა იმ მონობას, რომელიც ყველაგვარ მონობაზე საშინელი და დამამცირებელია — გონებრივი მონობა. ამას გარდა მარქსი სულ სხვა გვარი რეოლიუციონერი (!) იყო. ის უფრო სახლში, კაბინეტში, ან რედაქციაში იჯდა და იქიდგან ცდილობდა სარევოლიუციო მოძრაობის ხელმძღვანელობას, ის რევოლიუციის ბიუროკრატი იყო, ბაკუნინი კი რევოლიუციის სარდლად იყო შობილი, მასშიდ მომქმედი და შემოქმედი, დამანგრეველ-აღმაშენებელი სული ტრიალებდა. ის მთელ ოცდაათი წლის განმავლობაში ბრძოლის ველზედ იდგა, მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში იარაღი არ გაუგდია ხელიდან. ის რევოლიუციას სიტყვით კი არ ასწავლიდა, ის რევოლიუციას საქმითა ჰქმნიდა. მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ერთი თვალსაჩინო მოძრაობა არ ყოფილა, სადაც ბაკუნინს მონაწილეობა არ მიეღოს, მონაწილეობა არა შორიდან, როგორც მარქს, და მონაწილეობა არა მარტო სიტყვით, არამედ აქა ითაც, იარაღით ხელში. მაგრამ ამაზე ქვევით. აქ საკმარისია ის რაც ვსთქვით, ის რაც ვსთქვით საკმაოდ ხსნის იმას თუ რად არ დაუახლოვდა ბაკუნინი მარქს, რად ვერ მოეწყვნენ ისინი ერთად.

რაც შეეხება ბაკუნინის ურთიერთობას პრუდონთან, ის ნამდვილი მეგობრული იყო, მაგრამ ბაკუნინსა და პრუდონს შორის სრული თანხმობა არ არსებობდა. პრუდონი პატივისცემით ეპყრობოდა ბაკუნინს, რადგან ხედავდა მასშიდ დაულალავ სარევოლიუციო მომქმედს და ფილოსოფიის ღრმა მცოდნეს. პრუდონმა გერმანული ენა არ იცოდა, გეგელიანიზმი და დიალექტიკა მან მხოლოდ ბაკუნინის მეოხებით შეისწავლა. ბაკუნინი თავის მხრით დიდად აფასებდა პრუდონის ანტი-სახელმწიფოებრივ თეორიას, ე. ი. **მის პოლიტიკურ ანარქიზმს.** სწორედ აქ შემუშავდა ბაკუნინის სოციალური ფილოსოფია, რომელიც წარმოადგენს სინტეზს პოზიტივიზმისა, კომუნიზმისა და პრუდონის პოლიტიკურ ანარქიზმისას. მართალია ამ დროს ბაკუნინი ღიად ანარქისტი კიდევ ყოფილა, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ ამ დროს დაიწყო მისი ევოლიუცია ანარქიზმისაკენ. ამას სხვათა შორის ამ დროინდელი მისი ხელნაწერების ადგილებიც გვიმტკიცებენ.

* * *

პარიზში ბაკუნინი სხვათა შორის გაეცნო პოლონეთის მოღვაწეებს. 1847 წ. პოლონეთის აჯანყების მოსახსენებლად გამართულ კრებაზე ბაკუნინმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც შეიქნა მიზეზად მისი საფრანგეთიდან განძევებისა. რუსეთის ელჩად ამ დროს მარქსის ნათესავი კისელევი იყო, რომლის თხოვნითაც მოხდა ბაკუნინის გაძევება საფრანგეთიდან.

## სახელმწიფო ძალის ხელში ჩავდება და სოციალური რევოლიუცია.

### II

სანამ არ განვმარტავთ იმ სოციალურ ტრანსფორმაციის ხასიათს, რომელიც ჩვენ იდეალად დაგვისახავს, ყოვლად შეუძლებელია გავითვალისწინოთ ან დავამტკიცოთ ამა თუ იმ ტაქტიკის რაციონალური გამოყენება. ზევრისთვის სოციალური ტრანსფორმაცია ნიშნავს ნელ და მშვიდობიან განვითარებას არსებულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა; ეს განვითარება ერთ განსაზღვრულ წერტილზედ უკვე მოასწავებს აღსრულებულ ფაქტს,—რომ უკვე მოხდა სოციალური ტრანსფორმაცია, და შემდეგი ევოლიუცია კიდევ უფრო გააუმჯობესებს უკვე განვითარებულ დაწესებულებათა და ეს უკანასკნელები დაედებიან საფუძვლად მთელი საზოგადოების ცხოვრებას. მათთვის მაშასადამე სოციალური ტრანსფორმაცია. მოასწავებს არსებულ დაწესებულებათა, საზოგადოებრივი ცხოვრების არსებულ ფორმათა მშვიდობიან განვითარებას, თანდათან გაუმჯობესებას, და ამიტომაც მთელი მათი მოქმედება, მთელი მათი ენერგია ტრიალებს არსებულ, თანამედროვე ცხოვრების ფორმათა წრეში. არსებობს სახელმწიფო,—სულ ერთია როგორიც უნდა იყოს მისი წარმოშობა, მისი განვითარება,. მისი როლი ისტორიაში,—მაშასადამე ამ სახელმწიფოს წრეში მოქმედება, სახელმწიფო მანქანის გაუმჯობესება, საკანონმდებლო მოქმედება, „კარგ კანონთა“ გამოცემა და „ცუდ კანონთა“ მოსპობა,—აი რა არის მაგალითად რადიკალების, ლიბერალების და სხვა კანონიერ პარტიათა მოქმედების შინაარსი და ასპარეზი. არსებობს კერძო საკუთრება, კაპიტალიზმი, კაპიტალისტური ფორმა კერძო საკუთრებისა,—მაშასადამე აგრეთვე მოქმედება ასებულ წარმოებით განწყობილებათა ფარგალში,—შერიგება შრომისა და კაპიტალისა, სამედიატორო სამართალი მუშათა და კაპიტალისტთა შორის, მუშათა მფარველი კანონმდებლობა, შემოკლება სამუშაო დღისა კანონით, მომატება ქირისა და კანონით დადგენილი ქირა, თან და თანი გადასვლა ყველა უმთავრეს საწარმოვო საშუალებათა სახელმწიფოს ხელში, მშვიდობიანად, კანონმდებლობის ძალით,—აი რა შინაარსი და ასპარეზი აქვს აგრეთვე რადიკალურ და ეგრედ წოდებულ სოციალისტურ პარტიათა.

ეს მშვიდობიანი ტრანსტფორმისტები არა ჰყოფენ უარს არც კაპიტალიზმს, არამედ მისი ევოლიუციის ნიადაგზედ სდგანან, მათი მშვიდობიანი განვითარების იმედი აქვსთ; ამ განვითარების აუცილებელი შედეგი იქმნება, მათი აზრით სოციალური ტრანსფორმაციაც, და მათ ამგვარ შეხედულებას სრულიად ეთანხმება მათი მოქმედების ხასიათიც, მათი ბრძოლის ტაქტიკაც.*) თუ სახელმწიფო და კანონი გრწამს,—აუცილებელია სახელმწიფო ფარგლებში კანონიერი მოქმედება. თუ კაპიტალიზმის ფატალური განვითარება აუცილებლად მოახდენს ბუნებრივად და მშვიდობიანად სოციალური მშვიდობიანობის დამყარებას,—საჭიროა ხელი შეუწყო მშვიდობიანი გზით ამ სასურველ ევოლიუციას და იხსნა კაცობრიობა უსარგებლო რევოლიუციათაგან, სისხლის ღვრისაგან.

და ამ შეერთებამ ორი უმთავრესი პრინციპისა,—კაპიტალიზმისა და სახელმწიფოს გაუმჯობესებისა,—და მათი შესაფერი ტაქტიკის შემუშავებამ დაჰბადა ინგლისის ლიბერალიზმი და რადიკალიზმი და საფრანგეთის რადიკალიზმი. მაგრამ ამანვე დაჰბადა აგრეთვე ორი მოვლენა არა სასურველი სო-

*) თუმცა ძლიერ ხშირად რევოლიუციონერობის შიშით ბევრს მიუღია ჯერ მშვიდობიანი ტაქტიკა და მხოლოდ შემდეგ შეუმუშავებია მშვიდობიანი ტრანსფორმიზმის თეორია, რომ გაემართლებია თავი, როგორც რევოლიუციის მოღალატეს.

---

მარქსი შემდეგში ამ კისელევისას ჰკრეფდა ჭორებს ბაკუნინის წინააღმდეგ.*) კისელევი, რასაკვირველია, რადგან მისი მიზანი ბაკუნინის პოლიტიკურად მოკვლა იყო, რადგან მას ეს ჰქონდა დავალებული მისი მთავრობისაგან, დიდი სიამოვნებით თხზავდა ყოველ გვარ ჭორებს, რათა ჩირქი მოეცხო ბაკუნინისათვის და ამ გვარად გაექარწყლებია მისი გავლენა ევროპაში. მარქსი თავის მხრით, დაბრმავებული შურიანობით, ჰკრეფდა ამ ჯაშუშობის საბუდარში შეთხზულ ფაქტებს და ავრცელებდა თავის აგენტების დახმარებით. დღეს ეს მარქსის ბაკუნინზე მოგონილ და გავრცელებულ ჭორების და ცილის წამების ისტორია ძალიან კარგად არის გამოკვლეული. ამაზე ჩვენ კიდევ გვექნება საუბარი. დაუბრუნდეთ ეხლა ბაკუნინის პოლონელებთან ურთი-ერთობას. ბაკუნინი უკანასკნელ წამებამდე დარჩა მომხრე „ხალხთა თავისუფლებისა“. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა ის პოლონეთის განთავისუფლებას, რადგან, ამბობდა ის, „პოლონეთის თავისუფლება თავისუფლება მთელი რუსეთისა“. რა კი ის დარწმუნებული იყო რომ „რუსეთს თავისუფლება არ ეღირსებოდა, სანამ ვარშავაში დარჩებოდა თუნდ ერთი რუსის სალდათი“, ის ცდილობდა ყოველი ძალ ღონით ხელი შეეწყო პოლონეთის განთავისუფლებისათვის არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. მაგრამ სანამ ეს საქმის დღე მოაღწევდა, საჭირო იყო გარკვეული ურთიერთობის დამყარება პოლნეთის მოღვაწეებთან და თვით პოლონეთის ხალხთან. საჭირო იყო გამორკვევა იმისა, თუ როგორ უყურებდნენ რუსეთის მოწინავე ელემენტები პოლონეთის საკითხს. ამ მიზნის მისახწევად ბაკუნინმა ისარგებლა 1847 წ. პარიზში გამართულ მიტინგით 1830 წ. აჯანყების მოსახსენებლად. „მან დაიწყო იმით რომ ჯერ განმარტა თუ რისთვის ის, რუსი ღრმად მოყვარე და პატივის მცემელი თავის სამშობლო-რუსეთისა, დაესწრო კრებას, რომელიც დანიშნულ იყო პოლონეთის აჯანყების მოსახსენებლად. შერმედ მიუთითა იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს რუსეთის საზოგადოებასა და მთავრობას შორის, რუსეთის მთავრობასა და ხალხს შორის, იმ ხალხისა, რომელიც ამ მთავრობის ექსპლუატაციის ქვეშ იმყოფება. მძლავრი სიტყვებით აღნიშნა მან მონობა რუსეთისა, საყოველთაო დაჩაგვრა, უკანონობა და შემდეგ სრულ კანონიერად გამოაცხადა პილონელების სიძულვილი რუსეთისადმი, ე.ი. რუსეთის სახელმწიფოისადმი. მან სრულ ჭეშმარიტებად აღიარა ის აზრი უცხოელებისა, რომლითაც რუსეთი ძველიდანვე იყო მტერი ყოველი პროგრესისა და თავისუფლებისა ევროპაში. ქებით მოიხსენია გმირობა და გაბედულობა პოლონელებისა რუსეთთან ბრძოლაში; მან მკაფიოდ აღნიშნა შეცდომანი რუსეთის საზოგადოებისა 1830 წლის აჯანყებისა, რომელიც ვერ მიხვდა, რომ ამ აჯანყებას რომ გაემარჯვა, ის გახდებოდა დესპოტიზმის ბორკილების თავიდან მოშორების პირველი ნაპიჯით თვით რუსეთისათვის. გადაავლო რა თვალი მაშინდელ რუსეთის მდგომარეობას, ის შეეცადა რო მოეგლიჯა ნიღაბი რუსეთის იმპერიის გარე ბრწყინვალებისათვის, რათა აშკარა ეყო მისი ყალბი სიძლიერე. აღნუსხა მან უწესოება

*) V. Dave. Karl Marx et Michel Bakounine

ციალისტური შეგნების მხრივ,—სოციალისტური ოპპორტიუნიზმი და პარლამენტარული კრეტინიზმი ეგრედ წოდებულ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც მუდამ რევოლიუციაზედა ჰყვირის, თეორეტიულად უფრო რევოლიუციონერია თავისი მამათმთავარის მარქსის მოძღვრების ძალით,—პრაქტიკულად კი მხოლოდ უფრო მდაბალი სინიდისით განირჩევა უბრალო რადიკალთაგან.

ამგვარ სოციალურ ტრანსფორმაციას უწოდებენ ისინი **რევოლიუციას**. და ს. დ.-ებმა, როდესაც მათაც მიიღეს სავსებით მშვიდობიან მოქმედების ტაქტიკა *), სულ სხვანაირად განსაზღვრეს რევოლიუციის ცნებაც. მაგალითად ენრიკო ფერრი, იტალიელი ს. დ.-ის პარტიის პაპა, პირდაპირ ამბობს თავის წიგნში (Modern science and socialism), რომ რევოლიუცია ეხლა აღარ უნდა გვესმოდეს იმ ძველი აზრით, რომ ვითომც იგი უსათუოდ აჯანყებაში, სისხლის ღვრაში და ძალდატანებაში უნდა გამოიხატოსო. პირიქით, ევოლიუცია, რომლის მსვლელობას ვერაფერი დაუდგება წინ (the resistless evolution) პირდაპირ მიგვაქროლებს სახელმწიფოსა და სხვა დაწესებულებათა—საქალაქო და სასოფლო დაწესებულებათა—უფლებრივ ძალის ხელში ჩაგდებისაკენ და შემდეგ კი, როდესაც სოციალისტები უმეტესობას შეადგენთ პარლამენტში დაამ სხვა დაწესებულებებში—სოციალური რევოლიუციაც მომხდარი ფაქტი იქნება; როგორც მშვიდობიანად მოხდა ბრაზილიის რევოლიუცია (!) - დონ-პედროს ტახტიდან გადაყენებით, ან Bill of Rights-ის გაყვანა ინგლისში —სწორედ ასე მშვიდობიანად მოხდება მთელი სოციალური ტრანსფორმაციაც და კაცობრიობა შემდეგ მშვიდობიანი განვითარების გზას დაადგებაო. მეორე სოც. დ—ი კაუცკი, თავის წიგნში „Le lendemain de la Rèvolution sociale“ კიდევ უარესებს ამბობს,—იგი სულ მთლად მოცილებულია არა თუ რევოლიუციონურ თვალთა ხედვას, არამედ თვით სოციალისტურ იდეალსაც, და ამითი აიხსნება ისეთი უცნაური განსაზღვრა რევოლიუციისა, რომელიც საზოგადოდ მას ახასიათებს: პარლამენტარული უმეტესობის მოპოვება, შემდეგ სახელმწიფოს მიერ გამოყიდვა საწარმოვო საშუალებათა და არა ექსპროპრიაცია ან კონფისკაცია, შემდეგ მშვიდობიანი განვითარება კოლექტივისტური სახელმწიფოსი,—აი მომენტი კაუცკის „სოციალური რევოლიუციისა“. ჟორესმა, ბრიანმა, პოლ ბრუსსმა და თითქმის ნახევარმა საფრანგეთის ს. დ—იისამ, რომელსაც ღირსეულად შეგვიძლია რომ ვუწოდოთ სოციალისტური ოპპორტიუნისტები, ხომ უფრო ნათლად, უფრო გულწრფელად აღიარეს თავიანთი ოპორტიუნიზმი. და ჟორესი პირდაპირ ამბობდა ლაგარდელის მიერ შეკრებილ ანკეტაში საერთო გაფიცვის შესახებ: არის ერთად ერთი საშუალება სოციალისტების ხელში სოციალური ტრანსფორმაციისათვის და აგრეთვე კერძო გაუმჯობესებათათვის,— მოპოვება პარლამენტში უმეტესობისა (conquerir la majorité au parlement).

ამავე აზრის არის თითქმის მთელი ს. დ—ია გერმანიაში. ბელგიაში, იტალიაში და ყველგან, სადაც კი პარლამენტარული რეჟიმებია მჭიდროდ დამყარებული და პარტიას საკანონმდებლო ასპარეზი აქვს გახსნილი საყოველთაო არჩევნების საშუალებით.

ამითი აიხსნება მათ მიერ ზემოხსენებული უცნაური განსაზღვრა რევოლიუციისა, სოციალური რევოლიუციისა.

*) ჩვენ რუსეთის ს. დ. იაზედ აქ არას ვამბობთ, რადგანაც ისინი დღეს იძულებულნი არიან ორი ბარემოებით რევოლიუციონერები იყონ; პირველად იმიტომ, რომ რუთსეში არავითარი თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი არ იყო, მაშასადამე არც ნიადაგი კანონიერი მოქმედებისათვის. მეორედ იმიტომ რომ ეხლა რუსეთში რ ე ო ლ ი უ ც ი ა ა, და ს.-დ.—ებზედ უფრო მდაბალი პარტიე᾽იც გარევოლიუციონერდენ.

---

ადმინისტრაციისა, სამწუხარო ფინანსიური მდგომარეობა, ქურდობა, რომელიც გამეფებული იყო ბიუროკრატიულ სფერებში დიდებიდან მოკიდებული წვრილებამდე. მან გამოსთქვა ოპტიმისტური აზრი, დაშორებული სინამდვილეს, რომლითაც რუსეთის მხედრობა ვითომ ფარული მტერი იყო რუსეთის აბსოლიუტიზმისა.

ბოლოს ლამაზ და მხურვალე სიტყვებით თავის მხრით და აგრეთვე თავის მეგობრებისა და თანამოაზრეთა მხრით შეკავშირების წინადადება მისცა პოლონელებს, მოაგონა მათ ურთიერთობა დეკაბრისტებისა პოლონელ შეთქმულებთან და მიიწვია ისინი რათა ერთად და დაუღალავად ებრძოლათ მათ რუსეთის აბსოლიუტიზმის წინაამდეგ“. *) „ამ სიტყვამ, ამბობს კულჩიცკი, უზარმაზარი შთაბეჭდილება იქონია და სახელი ბაკუნინისა გახადა ცნობილი მთელ ევროპაში. ამ სიტყვამ ნათელ ჰყო უზარმაზარი ორატორიული ტალანტი ბაკუნინისა“. მართლაც შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ამ სიტყვამ, ისე ძლიერი იყო, რომ რუსეთის მთავრობაც შეძრწუნდა. რუსეთის ელჩმა, კისელევმა მოსთხოვა გიზოს მთავრობას ბაკუნინის გმნძევება საფრანგეთიდგან. ეს მოთხოვნილება მაშინდელ საფრანგეთის მთავრობისაგან, რომელიც თავის უკანასკნელ დღეების მოახლოებას გრძნობდა, დაკმაყოფილებულ იქნა: ბაკუნინი განძევებულ იქნა. საფრანგეთიდან ის ბელგიაში წავიდა და ბრიუსელში გაიკეთა ბინა. აქ კი ის კიდევ უფრო დაუახლოვდა პოლონელთა ემიგრაციას.

საფრანგეთის გარეშე ყოფნა დიდ ხანს არ მოხდენია ბაკუნინს. მისი განძევებიდან არ გასულა სამი თვე და რევოლიუციამ დაამხო საარეაქციო მთავრობა და გაამეფა დროებითი სარევოლიუციო მმართველობა, რომლის წევრებად შეიქნენ ლ. ბლანი, ფლოკონი, ლედრიუ როლენი და სხვა. ეს ორი უკანასკნელი მოღვაწე ბაკუნინისა და მარქსისაც მეგობრები იყვნენ, ერთად მუშაობდნენ გაზეთ „La Reforme“ში. ამისათვის გამეფდა თუ არა დროებითი მართველობა, ბაკუნინისათვის, ისე როგორც მარქსისთვის საფრანგეთში მობრუნება შესაძლებელი გახდა. რა თქმა უნდა, მოსთვლისთანავე ბაკუნინმა მიჰყო ხელი სარევოლიუციო პროპაგანდას და აგიტაციას. უფრო დაახლოვებული ბაკუნინი მონტანიარებთან იყო და მთელ დღეებსა და ღამეებსაც კი ატარებდა მოქმედებაში: ორგანიზაციაში და პროპაგანდაში. მისი პროპაგანდის ობიექტი კომუნიზმი იყო, რომელსაც ნათლად და მკაფიოდ უხსნიდა მუშებს, აჩვენებდა მის სადღეისო და მომავალ მნიშვნელობას, ავრცელებდა აზრებს თანასწორობისა და ერთობისა, მაგრამ არა იმ სიტყვიერ ერთობისა, რომელსაც ბურჟუა-ჰუმანიტარისტები ქადაგობდნენ გულუბრყვილოთა გულის მოსაგებად, არამედ იმ ერთობისა, რომლის დიადი სურათი თან და თან ირკვეოდა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე დამდგარ პროლეტარიატისათვის. ამასთანავე ის დაუღალავად უხმობდა ხალხს რევოლიუციის გასაგძელებლად, „სანამ, ამბობდა ის, ყოველი პრივილეგია და მონოპოლია ძირიანად არ იქნება აღმო-

*) М. А. Бакунинъ. Лудвига Кульчицкаго. ст. 10—11 კულჩიცკი უფრო სოციალ-დემოკრატია ვინემ ანარხისტი. მის სიტყვებს ბაკუნინზე მით მეტი მნიშვნელობა აქვს.

და ყველა ესენი,—ლიბერალები, რადიკალები, სოციალისტ-ოპორტიუნისტები მართალნი არიან. ეგრედ წოდებულ რევოლიუციონურ ს. დ.-ებს კი რაც შეეხება, მათ ერთი რამე უშლისთ ხელს, რომ ისინიც მართალი იყვნენ. საქმე მათი უგულ-წრფელობაა. ზემოხსენებული პარტიებივით რომ ისინიც პირდაპირ ამბობენ,—ჩვენ ასე გვესმის რევოლიუცია, სოციალური ტრანსფორმაცია და სხვ. და, გამოვდივართ რა ამ განსაზღვრიდან, განსაზღვრულ მშიდობიან ტაკტიკას ვადგივართო,—კარგი და პატიოსანი. მაგრამ ისინი კიდევ რაღაცას უმატებენ: **თუ დაგვჭირდა**, ჩვენც ძალ დატანებითი რევოლიუციის მომხრენი ვართო. თუ დაჭირდათ! თითქოს ყოველ დღეს, ყოველ წელიწადს, ყოველ ცოტად თუ ბევრად მოკლე პერიოდში არ იყოს საჭირო ამ ძალ-დატანებითი რევოლიუციისათვის მზადება და საზოგადოდ თვით ეს ძალდატანებით რევოლიუცია!—ამითი ისინი ღალატობენ თავიათ საკუთარ განსაზღვრას რევოლიუციის ცნებისას. რევოლიუცია ან ძალ-დატანებითია, ან იმ ხასიათის, როგორც მათ წარმოუდგენიათ. პირველ შემთხვევაში,—კანონიერებისა და რევოლიუციონერობის შეერთება საშინელი ულოღიკობაა, წინაღმდეგობა, და დიდხანს ვერ გასტანს ამ წინააღმეგობის მიმდევარი პარტიის მთლიანობა და მოქმედების პირდაპირი მიმდინარეობა. ასეც მოხდა ს. დ—ის პარტიაში; მისი დიდი ნაწილი ოპორტიუნისტად გადიქცა, კანონიერებამ ჩაყლაპა; მცირე ნაწილმა კი სრულიად უარ-ჰყო კანონიერება და რევოლიუციონურ სინდიკალიზმს მიემხრო: ლაგარდელი საფრანგეთში, ლაბრიოლა იტალიაში, ფრიდბერგი გერმანიაში, პოსსე რუსეთში... საშუალო მართლმადიდებელი ნაწილი კი უმოქმედოდ რჩება და მიუხედავად მათი მძლავრი ორგანიზაციისა გერმანიაში, მაგალითად, ლამის არის სულ დაჰკარგოს ყოველივე სიცოცხლის ელფერი ამ შეუერთებელ წინააღმდეგობათა შერიგების სურვილში. მეორე შემთხვევაში კი გულწრფელი ოპორტიუნიზმი იბადება, და ბერშტეინი და ჟორესი ნამდვილი შვილებია ამგვარი მოვლენისა. ერთი სიტყვით, რევოლიუციონურ ს. დ-ებს გულწრფელობა აკლიათ, თორემ ისინიც მართალი იქმნებიან თავისი თვალთა ხედვით. ს. დ-იას სამი გზა ჰქონდა: ან ოპპორტიუნიზმი, ან ნამდვილი რევოლიუციონერობა, ან ორტოდოქსალური ჯიუტობა შეურიგებელის შერიგებისა; პირველმა ორმა გზამ რამოდენიმე მანძილი განვლო და ამ გზაზედ მიმავალს ს. დ-ებს სიმართლე მოუხვეჭა, მესამემ კი მგზავრებს სულ აუბნია გზაკვალი. და აქაც ერთი შესაფერი მოვლენა მოხდა: ოპპორტიუნისტები, როგორც არა ვსთქვით,—თაყვანისმცემლები არიან სახელმწიფოსი და მან განსაზღვრა მათი გულწრფელი ტაქტიკა. სინდიკალისტ სოც. დ-ებმა უარ-ჰყვეს სახელმწიფო და მათი რევოლიუციონერობაც ამან გამოიწვია. ორტოდოქსებს კი ჯერ სავსებით არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი სახელმწიფოზედ,—ხან აღიარებენ მასა ხან უარ-ყოფენ, რასაკვირველია ათასჯერ უფრო აღიარებენ, ვიდრე უარჰყოფენ, და ამიტომაც ხან რევოლიუციონერები არიან, ხან და ოპორტიუნისტები,—რასაკვირველია უფრო ოპპორტიუნისტები, და ამიტომაც ისინი თითქმის არ განირჩევიან საქმით ბერშტეინისაგან და ჟორესისაგან.

რაც შეეხება ბლანკისტებს,—ანუ მათ მსგავსს ს. დ-ებს, რომელთაც ძალდატანებით, რევოლიუციონურად უნდათ ჩაიგდონ ხელში სახელმწიფო უფლება და შემდეგ მშვიდობიანად გარდაქმნან საზოგაოება,—ესენიც დაბნელებულნი არიან სახელმწიფოებრივი ფილოსოფიით, სახელმწიფოს თაყვანისცემითა და რწმენით,—და ამიტომაც მათი მოქმედება, მათი ტაქტიკა ნახევარ-რევოლიუციონურია თავისი შინაარსით, თუმცა საქმით ბევრი საგმირო საქმეები ჩაუდენიათ მათ და საფრანგეთის მუშა ხალხის ბრძოლაში მათ დიადი როლი უთამაშ-

---

ფხვრილი კაცთა საზოგადოებიდან". ისეთი ძლიერი იყო მოქმედება ბაკუნინისა ამ რევოლიუციის დროს, რომ სარევოლიუციო მთავრობამ მიაქცია ყურადღება მას და დროებითი მთავრობის ერთმა წევრთაგანმა ის აზრიც გამოსთქვა, რომ საფრანგეთში რომ 300 ბაკუნინი იყოს, მისი მართვა-გამგეობა შეუძლებელი იქნებოდაო *). ჩვენ ვფიქრობთ, რომ სულ 50 ბაკუნინი საკმარისი იქნება, რომ არსებობა სახელმწიფოსი შეუძლებელი გახდეს საფრანგეთში. მგონი არც ერთ ბოლო ხნის რევოლიუციონერს არ ჰქონია ბაკუნინისებური მომხიბვლელი გავლენა ხალხის მასსაზე; ის ნამდვილი სახალხო ტრიბუნი იყო და რასაკვირველია, მისთვის ადვილი საქმე იყო, ეჩვენებინა ნათლად ხალხისთვის მნიშვნელობა სახელმწიფოისა. ხალხი ინსტიქტით მტერია ყოველი სახელმწიფოისა, რადგან ავის მეტი არაოდეს არაფერი არ ხვდენია მას ამ ვითომდა მის საბედნიეროთ შექმნილ დაწესებულებისაგან. ადვილი მისახვედრია ისიც რომ, ვინც ამ გულის წუხილს მიუხვდება ხალხს და ვინც ამ გულის წუხილს მის ენაზე გამოსთქვამს, ხალხიც მას მიაქცევს ყურადღებას, მას დაუჭერს მხარს. ბაკუნინი ნამდვილი ხალხის მოძრავი სული იყო, სწორედ ამისათვის ერთმა ცნობილმა მოღვაწემ—კოსიდიერმა—48 წლის რევოლიუციისა სთქვა მასზედ: რევოლიუციამდე ბაკუნინი დაუფასებელი კაცია, რევოლიუციის შემდეგ კი ის პირველი უნდა იქნას ჩამოხრჩობილიო. რისთვის იყო ბაკუნინი დაუფასებელი კაცი რევოლიუციამდე? ცხადია, და ამას მთელი ბაკუნინის ცხოვრება ამტკიცებს, იმისთვის რომ ის სული იყო რევოლიუციისა, ის აღვიძებდა მასსას, იწვევდა მოქმედებისაკენ, იყვანდა მას შემოქმედობის გუნებაზე. ის დაუფასებელი კაცი იყო რევოლიუციამდე, რადგან ის—დრეზდენის რევოლიუცია ამტკიცებს ამას—რევოლიუციის სათავეში იყო, მაღლად ეჭირა დროშა ბრძოლისა, მისი ხმა უპასუხოთ არაოდეს არ რჩებოდა, ხალხი მიჰყვებოდა მას და სანამ ის ედგა სათავეში რევოლიუციას,—რევოლიუციას მებრძოლი არ მოაკლდებოდა. ის ბოძი იყო, რომელზედაც შეეძლო რევოლიუციას დაყრდნობა. რისთვის იყო საჭირო ბაკუნინის პირველად ჩამოხრჩობა რევოლიუციის შემდეგ? სანამ ამ კითხვაზე პასუხს მივცემდეთ, საჭიროა ვიკითხოთ, ვინ იყო ამ სიტყვების ავტორი—კოსიდიერი? ის ბურჟუა რევოლიუციონერი იყო. ის იყო მოთაყვანე სახელმწიფოებრივი იდეალისა იმ ზომამდე, რომ გაიმარჯვა თუ არა თებერვლის რევოლიუციამ, კოსიდიერი პარიზის პოლიციის პრეფექტად შეიქნა დროებითი მართველობის დროს. მისი სურვილი მხოლოდ მთავრობის გამოცვლა იყო, ძველი მონარქიული მთავრობის მაგიერ მას მართალია რესპუბლიკანური მთავრობა სურდა, მაგრამ ეს რესპუბლიკა მას ბურჟუაზიული უნდოდა. ამაზე უფრო ფართო არ ყოფილა მისი სოციალური იდეალი. დაუმატეთ ეხლა ამას ისიც, რომ ის აღზრდით იაკობინელი იყო და აჯვილად მიხვდებით, თუ რად მიაჩნდა მას ბაკუნინი ჩამოსახჩობ კაცად რევოლიუციის შემდეგ. ბაკუნინი სოციალისტი იყო და სოციალისტად რჩებოდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგაც. ერთი მთავრობის დასანგრევად ის ხალხს იმისთვის კი არ იწვევდა, რომ

*) Nettlau. Eine Biographie. M. Bakunin.

ნიათ,—ნახევარ-რევოლიუციონური იმიტომ, რომ სწორედ სახელმწიფო დაწესებულებებით უნდათ მოსპონ კაცთა შორის უთანასწორობა, თუმცა არსებული სახელმწიფოს დანგრევისა და ხელში ჩაგდების შემდეგ,—ისინი იმავე რევოლიუციის შემჩერებლად გამოდიან ბრძოლის პირველი აქტის გათავების შემდეგ, რომელიც თვითონ მოახდინეს. ამასთანავე იგინი სტოვებენ იმავე ხასიათისა და შინაარსის დაწესებულებათ, რომელნიც მათ რევოლიუციის დასაწყისში უარ-ჰყვეს, თითქოს საქმე ის იყოს,—თუ ვინ იქნება ბიუროკრატი ან პოლიციელი,—ბლანკისტი დიქტატურის თაყვანისმცემელი, თუ თანამედროვე დერჟიმორდა ან „ჩინუშა“,—და არა თვით ხასიათი, თვით შინაარსი დაწესებულებათა, რომელთა სრული მოსპობაც დაახასიათებს ნამდვილ რევოლიუციას.—ყოველ შემთხვევაში, ესენიც სახელმწიფო თაყვანისმცემელნი არიან და ამითი განისაზღვრება მათი დიქტატურის საშუალებად აღირება სოციალური ტრანსფორმაციის მოხდენისათვის, და აგრეთვე მართალნი თავიანთი თვალთა ხედვით.—მართალია მე მრწამს სახელმწიფო, ამბობს ბლანქისტი, სოციალური ტრანსფორმაციაც არ არის სახელმწიფოს მოსპობა, მაგრამ თანამედროვე პერსონალი უნდა შეიცვალოს სახელმწიფო და სხვა დაწესებულებათა; მე რევოლიუციის საშუალებით ჩავიგდებ ხელში ამ სახელმწიფო ძალას და შემდეგ მისი საშუალებით გარდავქმნი საზოგადოებას, მოვახდენ სოციალურ ტრანსფორმაციას, როგორც ესა სწადია იმ ხალხს, იმ კლასს, რომელმაც მე სადიქტატურო პირობები მომიმზადა.—ეს არის რწმენა ბლანქისტთა და ბევრი მარქსისტსაც, და თავისი შედეგებით და დასკვნებით იგი დიდათ არაფრით განირჩევა ზემოხსენებულ შეხედულებათა და რწმენათაგან სოციალურ რევოლიუციაზე და მის საშუალებებზედ.

აი განსაზღვრანი სოციალური რევოლიუციისა, სოციალური ტრანსფორმაციისა, და ამ განსაზღვრიდან ლოღიკურად გამომდინარებული საშვალებანი ბრძოლისა ყველა იმ პარტიათა, რომელნიც აღიარებენ სახელმწიფოს, კაპიტალიზმს, ან ორივეს ერთად, ან მარტო სახელმწიფოს უკაპიტალიზმოდ (რაიცა ჩვენის აზრით და მათ საკუთარ პრინციპთა ლოღიკურ განვითარებით შეუძლებელია).

და განვიმეორებთ, ყველა ესენი თავიანთი თვალთა ხედვით მართალნი არიან, გარდა მართლმადიდებელ ს. დ-თა, რომელნიც მხოლოდ ნახევრად არიან მართალნი, რადგანაც გულწრფელობა აკლიათ სიმართლე აღიარონ.

მაგრამ განა სოციალიზმის იდეალი სახელმწიფო დაწესებულებათა მხოლოდ გაუმჯობესებაა, განა მუშათა იდეალი კოლლექტივიზმია, სახელმწიფოს ხელში გარდასვლა საწარმოვო საშუალებათა, გამოსყიდვა ამ საწარმოვო საშუალებათა ანუ მათი სახელმწიფოს მიერ კონფისკაციაც, განა რევოლიუცია სახელმწიფო ფარგალში მომხდარი რეფორმებია, განა სოციალური ტრანსფორმაცია არსებულ დაწესებულებათა განვითარება-გაუმჯობესების ერთ განსაზღვრულ წერტილს იქით ჩაითვლება მომხდარ ფაქტად? განა თუნდ პროლეტარიატის დიქტატურაც მოასწავებს იმ დიად საზოგადოებრივ ცვლილების დასაწყისს, რომელიც უნდა დამთავრდეს სოციალური ტრანსფორმაციით? განა თვით განსაზღვრა რევოლიუციისა ისე უნდა მივიღოთ, როგორც ამას ახვევენ თავზედ დღეს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ფერრი, კაუცკი, ჟორესი ან ამერიკელი ვეილი? განა თვით ევოლიუციონიზმის თეორიამ მიიყვანა იგინი იმ დასკვნამდე, რომ ცნება „რევოლიუციას“ აზრი დაეკარგა მას შემდეგ, რაც დამტკიცდა ფორმათა თანდათანი განვითარება, ნელი ევოლიუცია, უჩინარი ტრანსფორმაცია? განა მათი განსაზღვრა მუშათა იდეილისა,ათვით რევოლიუციის ცნებისა, და რევოლიუციის ხასიათისა, რომელიც

---

მის ადგილზე მეორე გაემეფებია, არამედ იმისათვის, რომ საზოგადოთ ხალხის მართველობა გამოეგლიჯა ხელიდგან პრივილეგიის მქონე კლასებისათვის. კოსიდიერს ამისათვის ბაკუნინი მოსწონდა მხოლოდ რევოლიუციამდე, რადგან ის უზარმაზარ დამანგრეველ ძალას წარმოადგენდა, რევოლიუციის მეორე დღეს კი, ის მისი მტერი ხდებოდა, რადგან ის, ვინ იცის, შეიძლება, კიდეც ნატრობდა ბურჟუაზიული რესპუბლიკის პრეფექტობას, ბაკუნინი კი ბურჟუაზიულ წესწყობილების, თუნდაც ის რესპუბლიკანური ყოფილიყო, სრულ დანგრევას და სოციალიზმის განხორციელებას ესწრაფებოდა.

*
* *

დროებითი სარევოლიუციო მართველობა საშინლად დააშინა ბაკუნინის მოქმედებამ და პროპაგანდამ. ერთ წამს მას მოეჩვენა საშინელი სურათი სოციალური რევოლიუციისა. მაგრამ რა უნდა ექნას მას? ის ერიდებოდა ბაკუნინის განძევებას, რადგან ამგვარად ის დაამტკიცებდა რომ მას და გიზოს მმართველობას შუა დიდი განსხვავება არ იყო. ამისათვის მან ხრიკი იხმარა. ბაკუნინს ურჩიეს: აქ საფრანგეთში ასე თუ ისე რევოლიუციამ გაიმარჯვა. გერმანიაში კი ეხლა იწყება რევოლიუცია, წადი იქ, რადგან შენი მოქმედება იქ უფრო საჭიროა, ეცადე იქაც გამოიწვიო რევოლიუციაო. ჩვენ არ ვიცით მარტო ამ რჩევის ზეგავლენა თუ სხვა მიზეზიც მოქმედებდა მასზე, ყოველ შემთხვევაში ბაკუნინი გაემგზავრა გერმანიაში, სადაც განაახლა ყველა თავის ნაცნობობა და ენერგიულად შეუდგა აგიტაციას. დაჰყო ცოტახანი ლეიპციგში და შემდეგ ბრესლავაში და მერმედ გაემგზავრა ავსტრიაში—პრაგაში (ბოჰემია). ის ფედერალიზმი, რომელსაც ის ქადაგობდა ამ დროს და რომლის განსახორციელებლადაც ის იწვევდა ხალხს, უბრალო პოლიტიკური ფედერალიზმი არ იყო. მართალია ის აყენებდა წინ „სლავიანურ ფედერაციას“, მაგრამ „ეს „სლავიანური ფედერაცია“ მის პროექტში თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობათა ნიადაგზე არ უნდა აშენებულიყო. მისი აზრით სლავიანთა ხალხნი უნდა შეკავშირებულიყვნენ ერთ ფედერაციაში, რომელსაც სათავეში კავშირის სათათბირო (СОЮЗНЫЙ СОВѢТЪ) დაუდგებოდა. ამ სათათბიროს მიზნად უნდა ჰქონოდა მშვიდობიანი გადაწყვეტა სადავო კითხვათა, თუ ასეთი კითხვები იჩენდნენ თავს მოწესრიგება სლავიანურ ხალხთა სხვა ხალხებთან ურთიერთობისა. უმთავრესი მისწრაფება ბაკუნინისა, რომელიც მან ნათლად გამოხატა თავის იმ დროინდელ ნაწერებში იმაში მდგომარეობდა, რომ **მომავალ სლავიანთა ფედერაციაში კლასსობრივი განსხვავება არ არსებულიყო**. რადგან მიდამო, რომელშიაც მოუხდა მოქმედება ბაკუნინს, სრულიად მოუმზადებელი იყო სოციალიზმის მხრივ, ამისათვის საჭირო იყო დიდი ტაქტი, რომ ხალხი არ დამფრთხალიყო. ხალხის დაფთხობა კი ძალიან მავნე იქნებოდა ამ დროს, რადგან მოქმედების დღე მოახლოვებული იყო. ბაკუნინმა მიიღო მონაწილეობა აგრეთვე 30 მაისს გახსნილ პრაგის სლავიანთა კონგრესზე, მაგრამ, როგორც ვიცით, კონგრესის სხდომებს არ დასცალდა დასრულება. 12 ივნისს აჯანყებამ იფეთქა. ბრძოლა, რევოლიუცია ნამდვილი ბუნებრივი მიდამო იყო მუდამ მო-

უნდა გამომდინარეობდეს ლოღიკურად ამ ზემოხსენებულ ცნებათა განსაზღვრიდამ, უფრო რაციონალურია, ვიდრე ჩვენი; ანარხისტული? განა თვით ცნება სოციალური რევოლიუციისა, რომელიც ჩვენა გვაქვს, ისეთი ვიწრო და საცოდავია, როგორც დონ-პედროს გამოგდება ბრაზიილიდამ? ბოლოს,— განა თვით მათი საშუალებანი ბრძოლისა, რომელნიც მართალია, ლოღიკურად გამომდინარეობენ მათი იდეალისაგან, მათ მიერ სოციალური ტრანსფორმაციისა და რევოლიუციის განსაზღვრიდამ, ნამდვილ საშუალებად ჩაითვლებიან თვით მათი იდეალის განსახორციელებლად? არა! ყველა კითხვაზედ უარყოფითი პასუხი უნდა გავსცეთ და ჩვენ ჩვენის მხრით უნდა დავსვათ შემდეგი კითხვები

1) რა არის სოციალური ტრანსფორმაცია?

2) რა არის რევოლიუცია და როგორი განწყობილება აქვს მას ევოლიუციის ცნებასთან?

3) როგორი იდელისკენ მიისწრაფვის კაცობრიობა?

4) როგორი იდეალისაკენ მიისწრაფვის მუშათა კლასსი.

5) ამ მისწრაფების დაგვარად როგორ საშუალებათ იმუშავებს იგი აუცილებლად თავის ბრძოლაში?

6) ეთანხმებიან თუ არა ყოველივე ამას ზემოხსენებულ პარტიათა განსაზღვრანი და საშუალებანი ბრძოლისა?

7) როგორი ურთიერთობა აქვს თვით მათი ბრძოლის საშუალებათ მათ საკუთარ იდეალთან? და როდესაც ამ კითხვებზედ მიუგებთ, როდესაც ჩვენი თვალთა ხედვით განვსაზღვრავთ ჩვენს იდეალს, რომელიც ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ თვით ხალხის მისწრაფება, როდესაც გავიცნობთ თვით შინაარსს სოციალური ტრანსფორმაციისას,— მაში ნადვილად წარმოგვიდგება თვალ-წინ თვით ხასიათი სოციალური რევოლიუციისაც, მისი ძალ დატანებითი ხასიათიც, ჩვენ საშუალებათა ლოღიკური კავშირიც ჩვენ იდელთან და ცნებათა განსაზღვრასთან, და აგრეთვე მათი ძირითადი შეცდომანი, ამ შეცდომებიდან ლოღიკურად გამომდინარენი შეცდომანიც მათი ბრძოლის საშუალებათა ამორჩევაში,—და აგრეთვე ხშირად ულოღიკობაც მათი იდეალისა და ბრძოლის საშუალებათა კავშირში.

Bäton.

## დემოკრატიული არისტოკრატიზმი და ანარხია.

(გაგრძელება)

კიდევ იმით მაგონებენ დღევანდელი დემოკრატები ძველ არისტოკრატებსა და დღევანდელ ბურჟუებს, რომ იმათსავით მაღლიდან დაჰყურებენ ხალხს, ისეთ „მასსათ“ (მათი საყვარელი სიტყვაა „შეუგნებელი მასსა“) მიაჩნიათ, რომელსაც ცენტრალური მთავრობის მძლავრი და მაგარი მუხრუჭი სჭირია, რათა წარმატების გზაზე დააყენოს ხალხი. თუ ისინი პატივს სცემენ ხალხს, რატომ არ განუმარტავენ დღესავით ნათელ ჭეშმარიტებას, რომ თვითეულ გლეხს, თვითეულ სოფელს იმდენად შესწევს გონების ძალ-ღონე, რომ თავის შინაურ საქმეებს თვითონ გაუძღვეს: არავინ არ იქნება სოფელში ისეთი უგუნური, რომ, მაგალითად, გზების საჭიროება შეგნებული არ ჰქონდეს. სრულებით საჭირო არ არის დემოკრატული რესპუბლიკის ცენტრალური მუხრუჭი, რათა სოფლელებმა გზები გაიყვანონ. წინააღმდეგ, მთავრობის განკარგულება, რაც უნდა დემოკრატული იყოს იგი, არ იქნება ხალხის თავისუფალი ერთობის ნაყოფი, არ წარმოადგენს საერთო საჭიროების თავისუფალ რწმენის შემოქმედებას, რომელიც საურთიერთო ინტერესების შეგნებაზეა დამყარებული. ადამიანი სხვისი ბძანებით თავის დღეში არ შეასრულებს ისე კარგად საქმეს, როგორც საკუთარის შეგნებითა და თავისუფალის მისწრაფებით. ამის დამამტკიცებელი საბუთი საკმაოდ მოიპოვება თუგინდ აქ, გურიაში, სადაც მე ამ ჟამად ვცხოვრობ. როცა გურიაში არავითარი მოძრაობა არ იყო, დიდის გაჭირვებით

---

ძრავ ბაკუნინისათვის. თუ კონგრესზე მარტო სიტყვით შეიძლებოდა ბრძოლა, რევოლიუცია საშუალებას აძლევდა ბაკუნინს პრაქტიკულად ცდილიყო თავის აზრების განხორციელებას. „ბაკუნინი, ამბობს გერცენი, ხან და ხან უაზროთ ხარჯავდა თავის ძალას, როგორც გალიაში დამწყვდეული ლომი სიარულზე ხარჯავს თავის ენერგიას,— ეგებ გალიიდან გამოვიდეო; მაგრამ ის რიტორი არ არის, რომელსაც თავის სიტყვების განხორციელებისა ეშინია და რომელიც თავის საზოგადო თეორიათა განხორციელებასა გზას უხვევს“. ამ სიტყვების სიმართლე ნათლად მტკიცდება ბაკუნინის პრაგის კონგრესში და პრაგის აჯანყებაში მონაწილეობით. პრაგის კონგრესში მონაწილეობის მიღება,—სწორედ ენერგიის უნაყოფოთ ხარჯვა იყო, რადგან ცხადი იყო, გონებრივად ჩამორჩენილი უმრაელესობა ბაკუნინის „უკიდურეს“ აზრებს ვერ შეისისხლხორცებდა. რომც აღეარებინა კონგრეს მისი აზრები, და ერთ ნაწილზე მართლა დიდი გავლენა იქონია ბაკუნინმა, ეს მოხდებოდა მხოლოდ მისი პირადი გონებრივი ძალის, მისი აღმაფრთოვანებელ და წარმტაც ბუნების ზეგავლენით. მაგრამ თუ კონგრესი უნაყოფო შრომა იყო, აჯანყება ხომ ფაქტიური ბრძოლა იყო, იმ უფლებების განსახორციელებლად, რომლებზედაც ისე მჭერმეტყველურად ლაპარაკობდნენ კონგრესზე. თავისი ყოფაქცევით ბაკუნინმა დაამტკიცა რომ მისი უფლებების ბრძოლით მოპოებაზე ლაპარაკი უბრალო ფრაზეოლოგია არ იყო, რომ მისი რევოლიუციონარიზმი თვალის ასახვევი რევოლიუციონარიზმი არ იყო. ისეთი დიდი იყო ის მომქმედი ძალა, რომელიც ბუნებას ჩაენერგა მასშიდ, რომ ის უმცირესობის უმცირესობა, ის, რომელიც თავის აზრთა უკიდურესობით თითქო განკერძოებით იდგა კონგრესისტთა შორის, შეიქნა ხელმძღვანელი და ცენტრი მოძრაობისა. ბაკუნინს არაოდეს არ უკადრია, როგორც მის გამოჩენილ ანტაგონისტს, სახლში ჯდომა მაშინ, როცა ქუჩებზე სისხლი ილვრებოდა თავისუფლების მოსაპოებლად. პირიქით ის პირველი გადიოდა ბრძოლის ველზედ. ეხლა სრულიად გამორკვეულია, რომ ბაკუნინი ხელმძღვანელობდა პრაგის აჯანყებას. სიგნალიც სამოქალაქო ბრძოლის დაწყებისა მან მისცა. მისი ოთახიდან, სადაც თავს იყრიდენ მისი მოკავშირენი დაიწყეს პირველად სროლა. პრაგის აჯანყება ერთი პატარა ეპიზოდია 48 წ. დიდ მნიშვნელოვან მოძრაობასა, მის დაწვრილებით აღწერას აქ ჩვენ ვერ გამოუდგებით. ჩვენ ვახსენეთ აქ მხოლოდ მონაწილეობა ბაკუნინისა პრაგის აჯანყებაში, ჩვენ ვსთქვით, რომ ის აქ სათავეში უდგა და ხელმძღვანელობდა ამბოხებას, მისი როლის დაწვრილებით გამოკვლევას კი მთელი წიგნი მოუნდება.

* * *

პრაგის აჯანყება ძლეულ იქმნა, ბაკუნინი გაიქცა ავსტრიიდან გერმანიაში და რამოდენიმე ხნის განმავლობაში იმალებოდა ხან დესაუში ხან კეტენში. მერმედ გადიარა ლეიპციგში და იქითგან დრეზდენში. ამ დღიდან ეს უკანასკნელი ქალაქი გახდა ცენტრად გაბედულ და ენერგიულ მოძრაობისა. ბაკუნინმა ხელახლად მთელი თავისი ენერგიით შეუდგა რევოლიუციის მოსამზად მოქმედებას, პროპაგანდას, აგიტაციას და სამოქმედო ელემენტების დარაზმვას. ბაკუნინის სახელი და

აკეთებინებდა პოლიცია ხალხს ამ უკანასკნელისათვის საჭირო გზებს. ხალხი გრძნობდა, რასაკვირველია, რომ გზები მისთვის საჭირო იყო, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში მთავრობის უგულო მზრუნველობამ, უსიცოცხლო „აჭკამ" იმდენად დაჩაგრა ხალხი, რომ თავის სასარგებლო საქმესაც უხალისოდ ეკიდებოდა და გზების გასაყვანად პოლიცია ზოგჯერ მათრახს მიმართავდა ხოლმე. მთავრობის ვერაგულმა მზრუნველობამ მოუსპო ხალხს ერთობის გრძნობა, დააშორა მეზობლები ერთმანეთს და მათი უპირველესი შინაური საქმეები თვითონ ჩაიგდო კლანჭებში; გადასახადების გაწერა და გადახდაც ხომ მის ხელში იყო და ამიტომ ხალხის საჭიროების დაკმაყოფილებაც, მაგალითად გზების გაყვანა თვალთმაქცურად თავის საქმედ აღიარა, რათა ხალხის თვალში მართალი გამოსულიყო. ყველამ ვუწყით, თუ როგორ ბეჯითად ასრულებდა მთავრობა ამ თავის მზრუნველობას. როცა გურიაში მთავრობის დაწესებულებათა მოქმედება მოისპო და ერთობის გრძნობამ გაიღვიძა, ხალხი თავის ნებით და ხალისით გამოდიოდა გზების საკეთებლად და არავისი მათრახი არ იყო იმისთვის საჭირო. თუ გამოჩნდებოდა სოფელში ისეთი ბრმა და ხედვის ურჩი სულდგმული, რომელსაც გზის საერთო საჭიროება არ ესმოდა, იმაზედაც სასტიკად მოქმედებდა ბოლო და ბოლოს მეზობლების მისწრაფება, სოფლის გადაწყვეტილება, საზოგადო აზრი, და საერთო ფერხულში ჩაითრევდა.

რაც გზებზეა ნათქვამი იგივე ითქმის სკოლების შესახებაც. თვითეულ სოფელს კარგად ესმის სკოლის საჭიროება და თუ მთავრობის ხელში, რომელმაც ხალხის განათლებას ცოცხალი სული ამოხადა და თავისი მკვდარი სული ჩაუდგა, გურული ხალხი მაინც მიისწრაფოდა სკოლების გასახსნელად, ნუ თუ მაშინ, როცა ეს იმის საკუთარ შინაურ საქმედ გახდება, მეტის სიცოცხლითა და ხალისით არ მოეკიდება და დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური საკანონმდებლო და საადმინისტრაციო მუხრუჭი იქნება მისთვის საჭირო? ნუ თუ ვერ მიაგნებს თავისთვის საჭირო მასწავლებლებს, ხალხისათვის კეთილის მსურველ ადამიანებს, რომელნიც არ დაუცდიან დემოკრატიული რესპუბლიკის საერთო განათლების მინისტრის განკარგულებას და შეიმუშავებენ პროგრამას, სასწავლო გეგმას.

ამავე გურიამ დაამტკიცა, რომ დღევანდელ მთავრობის მკვდარ სასამართლოების მაგიერაც კარგად შეიძლება მოეწყოს თავისუფალი სამედიატორო სასამართლოები მეზობელთა შორის საქმეების გასარჩევად. და თუ გურიაში ამ სასამართლოებს ზოგჯერ მთავრობისაგან შეთვისებული სამწუხარო სისასტიკე გამოუჩენიათ, საქმე მაინც უიმედო ჯრ არის, ადგილობრივ ეშველება ამ საქმეს, სოფელში ზნეობრივი გრძნობათა გაღვიძებით, თავისუფალი განვითარებით და არა დემოკრატიული მთავრობის განკარგულებით, რომელიც მხოლოდ გარედან შეკრავს იარას, შიგნით კი იგი მაინც ძველებურად ბალღამით აივსება. როცა ხალხი თავის საქმეს თვითონ მოჰკიდებს ხელს, თანდათან შიგნიდან განკურნავს თავის იარებს, რომელთაც საკუთარის თვალით დაუკვირდება და იმათ ბილწ სათავეს მიაგნებს.

ეგევე ითქმის გადასახადების გაწერასა და შეკრეფაზე. დღეს გადასახადი სწორედ ხალხის გაძარცვის საშუალებით იკრიბება. პირდაპირი გადასახადი—პირდაპირი ყაჩაღობაა მთავრობის მხრივ. არაპირდაპირი კი, ესე იგი სხვა-და-სხვა ნივთებზე, შრომის ნაწარმოებზე დადებული გადასახადი, არაპირდაპირი, გვერდულ-ქურდული ყაჩაღობაა მთავრობისა, რომელიც ყოველ ახალ ნიეიდ ნივთის საშუალებით გვძარცვავს სხვა-და-სხვა აქციზების და მაგვარ სასირცხო დაწესებულებათა საშუალებით. გადასახადი დღეს ხალხში არსებულ განხეთქილების წყაროა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აღზრდილია მთავრობის მიერ, მთავრობა აგონებდა ხალხს, მთელ თქვენ საერთო საჭიროებას მე გაუძღვები, ოღონდ ამდენი და ამდენი გადაჭრილი გადასახადი მაძლიეთო. მთავრობის ვერაგულ მზრუნველობას ფულიც უწევდა სამსახურს, ესე იგი ის შესანიშნავი მოვლენა, ფული, რომელიც ნაწარმოების ადვილ გაცვლა-გამოცვლისათვისაა მოგონილი, მთავრობამ ხალხის დასაჩაგრავად გამოიყენა.

---

რეპუტაცია საშინელის სისწრაფით იზრდებოდა. ვერც ერთი სარევოლიუციო მომქმედი ვერ გაუწევდა მას ამ დროს კონკურენციას გავლენის მხრით. მარქსი ამ დროს გერმანიაში იყო და თუმცა ის პოლიტიკურ მოქმედების ასპარეზზე გამოსული იყო, მაგრამ მისი მოქმედება სრულიად უფერული იყო, ფაქტიური მოქმედება მას რევოლიუციაში არც კი მიუღია. მისი მონაწილეობა მოძრაობაში, ისე როგორიც შემდეგ სხვა შემთხვევებში, იფარგლებოდა იმით, რომ რედაქციაში იჯდა (Neue Reinische Zeitung) და იქიდგან „კამანდრობდა". რა თქმა უნდა ბაკუნინი ჩრდილავდა მას თავის უზარ მაზარი რეპუტაციით. ეს მეტის მეტი იყო. ამას ველარ გაუძლო მარქსის გულმა და სწორედ აქ მოიგონა მან თავისი პირველი ჭორი იმ ბაკუნინის წინააღმდეგ, რომლის რეპუტაცია ავსებდა სარევოლიუციო მიდამოს. ზემოთ მარქსის დასახასიათებლად მოყვანილ ციტატაში ნახსენებია ეს ჭორი, მაგრამ საჭიროთ მიგვაჩნია კიდევ შევჩერდეთ მასზე. ის უკეთესი რომ აღარ იქნება, ისე ახასიათებს მარქსის ბრძოლას თავის მოწინააღმდეგეებთან. ბაკუნინი ჩაბმული იყო სარევოლიუციო ბრძოლაში. მზადდებოდა რევოლიუცია. მომქმედი ელემენტების ცენტრად ის იყო გამხდარი; გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ ის, სწორედ ის იყო გული მოძრაობისა. აი სწორედ ამ კაცის წინააღმდეგ მარქსმა თავის ჟურნალში მოათავსა საზიზღარი ჭორი, ჭორი, ცილის-წამება, რომლის მიზანი იყო ზნეობრივად და პოლიტიკურად მოკვლა იმ კაცისა, რომლის რეპუტაცია უზარ-მაზარი იყო, რომელიც ჩრდილავდა მას. ცილის-წამება აი რაშიდ მდგომარეობდა: მარქსმა დაბეჭდა თავის გაზეთში, რომ ბაკუნინი რუს-მთავრობის აგენტიაო, აი საზიზღარი, უნამუსო, თავშეუკავებელ შურიანობისაგან გამოწვეული ჭორი. დღეს ყველამ იცის ვინ იყო ბაკუნინი, რა მოიმოქმედა მან და როგორ დაასრულა თავის სიცოცხლე. მაგრამ მაინც საჭიროა განვიხილოთ მომდინარეობა ამ ჭორისა. ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ მთავრობამ მოსთხოვა ბაკუნინს დაბრუნებულიყო რუსეთში, ბაკუნინმა, როგორც ვსთქვით, არ აასრულა ეს ბრძანება, მერმედ მთავრობამ სხვა გვარი სახსრები იხმარა ბაკუნინის დასაუძლურებლად და მის გავლენის დასამხობათ *). ამ სახსართა შორის პირველი ადგილი რასაკვირველია, ცილის წამებას ეჭირა. ცილის წამებით უნდოდათ დაეკარგათ სარევოლიუციო ელემენტების ნდობა ბაკუნინისადმი. ცენტრი ამ ცილის წამებისა რუსეთის ელჩი კისელევი იყო, გავრცელება მისი კი მარქსმა და მისმა ეკკლესიამ იკისრა. მარქსის მეუღლე (ჟენი ვესტფალენ) კისელევის ძალიან მახლობელი იყო. ის ტყობილობდა ჭორებს და აწოდებდა თავის დიდებულ მეუღლეს. ეს უკანასკნელი ჟურნალ გაზეთების და მეგობრების დახმარებით ავრცელებდა მას. აი რასა სწერს დრაგომანოვი**) ამის შესახებ:

*) მივაქცევთ ყურადღებას მარქსის ჟურნალის და მის რედაქტორის იეზუიტობაზე: ამისთანა საშინელი ჭორი მათ მაშინ მოიგონეს და დასტამბეს, როცა ბაკუნინს მთელი თავის არსებით რევოლიუციის ქარტეხილში მყოფს არც კი ეცალა მარქსის-იეზუიტებთან საპოლემიკოთ.

*) Драгомановъ. Письма М. А. Бакунина къ Герцену и Огареву. დრაგომანოვი არა თუ მომხრე, არამედ საშინელი მოწინააღმდეგე იყო ბაკუნინისა, ამისათვის მისი მოწმობა მიკერძოებულად ვერ ჩაითვლება.

საერთო საჭიროების შეგნება და გაძლიერება ხალხში შექმნის საერთო შრომას სხვა და სხვა სასოფლო საქმის ასასრულებლად და ეს შრომა, რომელსაც კომუნისტურს უძახიან, თან და თან უფრო და უფრო განამტკიცებს ხალხში ერთობის გრძნობას. იმ გადასახადმა კი, რომელსაც ხალხი დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას ჩააბარებს, ეს მთავრობა ერთობის დამანგრეველ იარაღად იხმარს.

რამდენჯერაც უნდა შევხედოთ საგანს, ანარხისტული, ესე იგი ყოველნაირ მთავრობის უარმყოფელი მოძღვრება, რომელსაც მრავალი ცილი დასწამეს ჩვენმა გონება-დაღამებულმა დემაგოგებმა, იმ ძირითად ღრმა მნიშვნელოვან აზრზეა დამყარებული, რომ მთავრობა, ყველგან და ყოველთვის ძალადობაზეა დაფუძნებული, რყვნის ხალხის ზნეობას, საერთო საქმეს ცოცხალ სულსა ჰხდის, უფლება-მოსილ მოხელეებს- მოძალადეებად და ქვეყნის მტრებად აქცევს, რომ ყოველნაირი უფლება, ძალაზე დამყარებული, წარმოადგენს ისეთ მასალას, რომელიც კეთილ ადამიანსაც მავნე ბალღამივით ეწვეთება გულში და ზნეობრივ გრძნობას უჩლუნგავს. ანარხისტული, სახელმწიფო წეს-წყობილების უარმყოფელი მოძღვრება ინდივიდუალური მოძღვრებაა, რომელსაც სწამს, რომ თვითეულ ადამიანს შესწევს თავისი საკუთარი და საერთო საქმის გაძღოლის უნარი, საზოგადოებრივი გრძნობა, რომელსაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდა მთავრობა; რომ მთავრობის ძალას აკლდებოდა იმდენად, რამდენადაც იღვიძებდა ხალხში ერთობის გრძნობა. ანარხიზმი ამტკიცებს, რომ მთავრობა ყოველთვის აბრკოლებდა ადამიანის თავისუფალი პიროვნების განვითარებას, მუდამ გზაზე ედობებოდა იმის თავისუფალ ზნეობრივ წადილს, რადგან კარგად შეგნებული ჰქონდა, რომ ხალხში ზნეობრივი კავშირის განმტკიცება მთავრობის გაუქმებას მოასწავებდა. ადამიანის პიროვნება და მთავრობა ერთმანეთთან მოუთავსებელი, მტრული მცნებანია და დემოკრატიული მთავრობა, ხალხისათვის სასარგებლო სახელმწიფო წესწყობილება ისეთივე შეუძლებელი მოვლენაა, როგორც წმინდა ტალახი, დღისით ღამე ანუ თავისუფლად მოაზრე დემოკრატი.

სოციალ-დემოკრატთა და სახელმწიფო წესწყობილების მომხრე სხვა დემოკრატთა მოძღვრებას არა სწამს, რომ ადამიანს სიკეთის უნარი მოსდგამს, რომელსაც მხოლოდ გაღვიძება-განვითარება სჭირია; მათი მოძღვრება მხოლოდ ახალ-მოდის დემოკრატიული არისტოკრატიზმია, რომელიც ისე უცქერის ადამიანის ბუნებას, როგორც ძველი დროის თავადიშვილები გლეხს უცქეროდნენ, ესე იგი დიდი სიმაღლიდან, როგორც ისეთ ცხოველს, რომელსაც მაგარი ძალა უნდა მოსარჯულებლად, მთავრობის რკინის მექანიზმია მისთვის საჭირო, რათა გასწმინდოს და კეთილ გზაზე დააყენოს ეს დაბალი ხარისხის ცხოველი.

**ი. ნაკაშიძე.**

## ეკონომიური მონიზმის კრიტიკა

მარქსი თუმცა-ღა არ იგულვებს ორ პირველყოფილ მიზეზებს, მაგრამ მაშინ გაცვლა-გამოცვლის ფორმა გამომდინარეობს გაცვლა-გამოცვლის ფორმისგან. საყურადღებოა აგრეთვე ეკონომიური ფაქტორის „კაპიტალისტური სახე“ რომელიც ბურჟუაზიამ გამოიწვია ჯოჯოხეთიდგან და რომელიც ველარ დაუმშვიდებია. თუ ღმერთია,—ეშმაკიც არის და თუ ეშმაკია, ღმერთიც არის—ორივე შემთხვევაში დუალიზმია. ბურჟუაზიული საზოგადოება ეშმაკებმა დაიპყრეს მარქსის „გადმოცემით“. იგი ემსგავსება „ახალი აღთქმის“ ეშმაკეულით შებოჭვილს, რომელშიაც ეშმაკებმა დაიბუდეს და ქრისტეს მოახლოვებაზე ღრიალი დაიწყეს; მარქსს (უნდა იყოს ქრისტეს) შეებრალა საზოგადოება და უბრძანა ეკონომიურ და იდეოლოგიურ ფაქტორებს, საზოგადოების მუცელში დიალექტიკურად მოთავსებულ ამ ისტორიულ ეშმაკებს: „განვედით სულნო არა წმინდანნო და დიალექტიკურნო საზოგადოების გვამიდგან! რა არის თქვენი სახელი“?

„გერცენი მოგვითხრობს, რომ მარქსი ძალიან კარგად იცნობდა ბაკუნინს და გამოაცხადა ის რუს შპიონად. თავის „Neue Reinische Zeitung“-ში მან მოიგონა მთელი ზღაპარი: ვითომდა ჟორჟ ზანდმა შეიტყო ლედრიუ როლენისაგან, რომ ამ უკანასკნელს უნახავს, როცა ის შინაგან საქმეთა მინისტრად იყო, რაღაც დოკუმენტები, რომელნიც ჩირქს სცხებენ ბაკუნინისაო. მეგობარმა მ. ბაკუნინისამ რეიხელმა წერილით შეკითხა ჟორჟ ზანდს ამ ამბის შესახებ. ჟორჟ ზანდმა მაშინვე გამოუგზავნა წერილი „Neue Reinische Zeitung“-ის რედაქციას, რომელშიდაც ის ლაპარაკობდა ბაკუნინზე, როგორც საუკეთესო მეგობარზე.“ ამ ნაირად მარქსი დაჭერილ იქნა, დამტკიცებულ იქნა, რომ მან საზიზღრობა ჩაიდინა შურიანობით, რომ მან ცილი, საშინელი ცილი დასწამა იმ კაცს, რომელსაც დღეს თუ არა ხვალ თავი უნდა შეეწირა რევოლიუციისათვის. შერცხვა მარქს? არა. მან დასტამბა ჟორჟ ზანდის წერილი და თავის გასამართლებლად შენიშვნა გაუკეთა მას, რომელშიაც ამბობდა, რომ წერილი ბაკუნინზე უჩემოთ დაიბეჭდაო. რამდენად გულმწრფელი იყო ეს მარქსის განცხადება იმიდან სჩანა, რომ შემდეგაც არა ერთხელ განმეორებულ იქნა იგივე საზიზღარი ცილის წამება და საკვირველია, ის ყოველთვის მარქსის წრისაგან გამოდიოდა. ამისთვისაა, რომ ჩვენ თანამედროვე სოციალდემოკრატების მიერ ცილისწამების, ჭორების ხმარება მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში არ გვაკვირვებს. ცილისწამება, ჭორები მათი ისტორიული ტრადიციაა. ეს მათ დოქტრინის, ფილოსოფიის, მეცნიერების ორგანიული ნაწილია, ეს მათი სკოლაა, მათი სისტემაა. სოციალდემოკრატი, თუ ის ცილისწამებას, ჭორებს და პლაგიატს არ ხმარობს, ის არის რაც უხორთუმო სპილო. მისი ბუნებრივი იარაღი, ერთი სიტყვით, ცხოვრიბისათვის ბრძოლაში ცილის წამება, ჭორები და სხვისი ნაწარმოების მითვისებაა. მარქსიზმი ახალი გონებრივი მოძრაობა არ არის არც მეცნიერებაში, არც ფილოსოფიაში, ის რელიგიოზური სექტაა. ცილის-წამებით და ჭორებით ბრძოლა ისე ახასიათებს მას, როგორც „ეეზუს კომპანიას“ (compagnie de Jesus). მარტო ბაკუნინთან კი არ უხმარიათ მათ ამ გვარი იარაღი. გერცენის გავლენის დამხობას რუსეთში იმავე ცილის წამების იარაღით სცდილობდნენ. „გერცენი, სწერდა მარქსი სარეაქციო ბურჟუაზულ გაზეთში (აუგსბურგელი), ნამდვილი წყაროებიდან არის ცნობილი, იღებს დიდ ფულებს ნაპოლეონ III-აგან და მისი ურთიერთობა Palais Royal-თან კი არც უმალ იყო საიდუმლო„. დღეს ამ საზიზღარ ჭორების დარღვევა საჭირო არ არის. ცხოვრება გერცენისა ცნობილია მთელ განათლებული კაცობრიობისაგან. აგრეთვე ბაკუნინის ცხოვრებაც გამოკვლეულია დიდ ოთხ ტომიან თხუზულებაში, რომელიც შედეგია 15 წლის დაუღალავი შრომისა. *)

კ. ო.

*) სახეში გვაქვს უკვე ხსენებული წიგნი დოქტორ ნეტლაუსა.

„ეკონომიური ანუ ისტორიული მონიზმი“ მიუგეს „ჯოჯოხეთის ძალებმა“ და განვიდნენ, მაგრამ შევიდენ საუბედუროდ ჩვენდა პროლეტარიატის მუცელში, რომელიც ისედაც დამშეული უკვდის დაყოფილი ძალებით და პარლამენტარული კანონებით კანონიერ რევოლიუციის და სახელმწიფოებრივ სოციალიზმს.

საკვირველია ლოგიკურად და არა დიალექტიკურად, როდესაც კაპიტალი, ბურჟუაზიის მაძღარი მუცელი ჰბადებს სიმშილით მიბნედილ პროლეტარიატს! საკვირველი და შემცდარია ეს, იმიტომ რომ კაპიტალი კი არ ჰბადებს პროლეტარიატს, სიმდიდრე-სიღარიბეს, სიღარიბე-სიმდიდრეს, არამედ ექსპლოატაცია და ძალ-მომრეობა ჰბადებს ექსპლოატაციის სუბიექტის სიმდიდრეს და ობიექტის სიღარიბეს.—კაპიტალი, როგორც საკუთრება ძალმომრეობის ექსპლოატაციის ნაყოფია.

. I განს. 5 წინად. ამბობს რომ წარმოების წესი განსაზღვრავს იდეოლოგიურს —პირველი სტრუქტურულია და საზოგადოეარივ ანატომიას წარმოადგენს მეორე, სუპერსტრუქტურა,—საზოგადოებრივი ფიზიოლოგაა და მაშასადამე ფუნქციონალურია; გავიხსენოთ ის ბიოლოგიური პრინციპი რომლის ძალითაც ბიოლოგიური ევოლიუცია და ტრანსფორმაცია შედეგია ფუნქციის, რომლის მიხედვით ორგანიზაცია იცვლება შეცვლილი ფუნქციის გამუდმებული განმეორებით. ეს პრინციპი არა თუ ბიოლოგიურია, არამედ მსოფლიო ფიზიკურია და გამოიხატება განყენებულად იმაში, რომ სხეულის მდგომარეობაში მომხდარ ცვლილებას მიზეზი აქვს, ე. ი. იმისთვის, რომ სხეულმა თავის პირველ მდგომარეობიდგან გადავიდეს მეორე მდგომარეობაში, საჭიროა მასზე მოქმედება. ყველა ამიდგან გამოდის ის, რომ უფრო ცვალებადი, უფრო ელასტიური, პლასტიური და ფუნქციონალურია. თუ ავიღებთ სახეში ამ მოსაზრებებს, მაშინ დავინახავთ, რომ ინიციატივა ცვლილების იდეოლოგიას უნდა ეკუთვნოდეს და არა ეკონომიკას, ორგანიზაციას. მაგრამ ეს უკანასკნელი თქმა მხოლოდ იმის თქმა იქმნება, რომ მოძრაობის მამოძრავებელი მოძრაობა იქნება, და ეს კი ტავტოლოგია იქმნება, ნამდვილად კი მოძრაობა უიმისოდ რაც მოძრაობს, და მოქმედება უიმისოდ რაც მოქმედობს, არ წარმოიდგინება და მაშასადამე აქაც წმინდა მატერიალიზმში ვიმყოფებით. ასე რომ, ყოვლად შეუძლებელია დაშორება მოძრაობის და ნივთიერების დროშიც და სივრცეშიც. თუ მიუხედავად ყველაფრისა ჩვენ მათ ამ დაშორების დროში და სივრცეში ვეცდებით, მაშინ უსათუოდ დუალიზმში ჩავვარდებით, იმიტომ რომ მოძრაობა და ნივთიერება ერთი და იგივეა, რადგან უკანასკნელ პსიხიურ მომენტში ორივე ერთად ჰქრებიან. ერთი საგნის ობიექტიური მდგომარეობაა და მეორე სუბიექტიური მისი ჩვენგან წარმოდგენა. ორივე ისე არ იქმნება უერთიმეორეოდ, როგორც სუბიექტი უობიექტოდ, როგორც უსაგნოთ აზრი და უაზროდ საგანი. მარქსს სწამს, რომ ყველა მუშაობას, როგორც აქტს შეეფერება წინადადებული აზრი და აღიარებს, რომ უგლახესი ამშენებელი განირჩევა უკეთესი ფუტკრისაგან იმით, რომ ის აშენებს თავის უჯრედს უფრო ადრე თავში, ვინემ გააკეთებდეს მას სანთლიდგან. შრომის პროცესის ბოლოში მივიღებთ ნაყოფს, რომელიც არსებობდა უკვე თავის დასაწყისს მუშის წარმოდგენაში, ე. ი. იდეალურად.“ რა არის ეს? რომ ეკონომიური ურთიერთობა და იდეოლოგია ერთი მეორეს განსაზღვრავენ; ეკონომიურ ურთიერთობაში როგორც აქტში ისინი დაუშორებელნი არიან და მაშასადამე მათ შორის მონიზმი არ არსებობს. საყურადღებოა ამ განსაზღვრაში (III) ის ფაქტი რომელშიდაც მარქსი აღიარებს, რომ შრომის ნაყოფი იდეალურად უკვე არსებობდა, რომ მუშა არა თუ სცვლის ბუნებრივის ფორმას, არამედ ის ანხორციელებს ბუნებრივში თავის „მიზანს, რომელიც მან უკვე იცოდა, რომელიც განსაზღვრავს ხასიათს და წესს მის მოქმედებისას, როგორც კანონი“ და ამ მიზანს, კანონს უმორჩილებს თავის სურვილს. მაშასადამე, შეგნება ყოფილა მოქმედების და წარმოების ურთიერთობის როგორც მოქმედების გამსაზღვრელი და თუ ეს ასეა სად არის მაშინ ეკონომიური მონიზმი.

მარქსის ამავე სიტყვებიდგან ვხედავთ, რომ ის მისულა იმ დასკვნამდე, რომ, შეგნებას, მიზანს უბრალოდ გამსაზღვრელი მნიშვნელობა კი არა ჰქონებია, არამედ უპირატესობა ჰქონია, რადგან „უგლახესი ამშენებელი განირჩევა უკეთესი ფუტკრისაგან იმით, რომ ის აშენებს თავის უჯრედს უწინ თავში, ვინემ გააკეთებდეს მას სანთლიდგან.“ ის თუმცაღა მისულა ამ დასკვნამდი, მაგრამ იმდენად არ წაუწევია წინ, რომ მოლეშოტთან ერთად ეთქვა: „თუ როტიფერს აქვს (rotifère) თვალი, რომელიც შესდგება სადა თვალის თეთრისგან, ნუ-თუ მაშინ არ მიიღებს ის განსხვავებულ სურათებს, ვინემ ობობა, რომელსაც აქვს კრისტალლინი და ჰიქოვანი სხეული? აი რისთვის არ არის ერთი და იგივე ადამიანის ცოდნა, მწერის ცოდნა, ანუ ცოდნა ეფექტების, რომლებიც შეადგენენ გარეშე ქვეყანას მწერისთვის. თავის საკუთარ პერცეპციის ისტრუმენტთან დამოკიდებულების ცოდნა არის ის საზღვარი, რომელსაც ვერავითარი ადამიანი, ვერავითარი ღმერთი ვერ გადასცდება.“ Circulation de la vie 14. გვ. მაშასადამე, რანაირიც იქნება ორგანო მიჩნევის, გრძნობის, შეგნების იმ ნაირი იქნება განსაზღვრა მიჩნეულის გრძნობის, შეგნებულის. ჭიანჭველის-ფუტკრის, ცხოველის და კაცის პსიხოლოგია განსხვავებული არიან იმოდენად, რამოდენადაც განსხვავებულია მათი მგრძნობელი და მოაზრე ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობა, ცხოველობითი საჭიროებანი, ეკონომიური სტიმული ყველასათვის ერთნაირად საჭიროა ამასთანავე ცხადად სჩანს განსხვავებული დეტერმინაცია ცხოვრების და ადამიანების საზოგადოებრივ ცხოვრების შესაფერისად მათი პსიხიური დეტერმინაციისა, რომელიც თავის დროზე და რიგზე შესაფერისია მათი ბიოლოგიური დეტერმინაციის. მარქსის აზრით მეცნიერება, სარწმუნოება ზნეობა და პოლიტიკა იდეოლოგიები არის, რომლებიც „მეტად თუ ნაკლებად ჩქარა ინგრევა“ მის ეკონომიურ საფუძვლის დანგრევით. მაშასადამე რადგან ყველა შემდეგ ხანაში მოიპოვებიან ისეთი ტეორიები, ისეთი სარწმუნოებანი, ჩვეულებანი და პოლიტიკური ფორმები, რომლებიც უწინდელ ხანაში აღორძინებულან და არა თუ „მეტად და ნაკლებად ჩქარა არ ინგრევიან“, არამედ უფრო და უფრო უმჯობესდებიან და მტკიცდებიან. ამიტომ ცხადია, რომ მიუხედავად ეკონომიური ნიადაგის დანგრევისა, ისინი არ ინგრევიან და ამ ნაირად ეს ფაქტები ეწინააღმდეგებიან ეკონომიურ მონიზმს და მოასწავებენ თვით ეკონომიური მონიზმის თვითდანგრევას. მარქსის აზრით იდეოლოგიის ახსნა უნდა ვეძებოდ საზოგადოებრივ არსებობაში (соціальное бытіе), რომელზედაც დაშენებულია სათანადო იდეოლოგია, და რომელიც გამოიხატება (отражается) ადამიანის შეგნებაში. ვთქვათ დროებით რომ ეს მართალია. როგორ უნდა მივხვდეთ მაშინ კომუნისტ. მანიფესტის ის ადგილები, სადაც მარქსი ამბობს: „როგორც ერთხელ აზნაურობის ერთი ნაწილი ბურჟუაზიას შეუერთდა, ისე ახლა ბურჟუაზიის ერთი ნაწილი პროლეტარიატისაკენ გადადის, სახელდობ ის ბურჟუა-იდეოლოგები რომელთაც მთელი ისტორიული მოძრაობა თეორეტიულად შეიგნეს.“ (გვე. 23. კ. მ.)

ამავე ნაწერში მარქსი ამბობს: (23): „მაწანწალათა პროლეტარიატს“ (ხულიგანები, ბოსიაკები), ამ ძველი საზოგადოების დაბალ ნაწილების დარღვევის პასიურ ნაყოფს, აქა-იქ თან ითრევს პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა, მაგრამ თავის ცხოვრების მდგომარეობით ის უფრო ილტვის თავის თავი რეაქციონერებს მიყიდოს. პირველად უნდა აღვნიშნოთ რომ ეს „მაწანწალათა პროლეტარიატი“ პროლეტარიატთა კლასშია მოქცეული და მაშასადამე მათი სოციალური მდგომარეობა (социал. бытie) პროლეტარულია. მაშასადამე მისი იდეოლოგიაც პროლეტარული უნდა იყოს, მაგრამ თუმცა-ღა პროლეტარიატს, როგორც სოციალურ კატეგორიას, აქვს ერთი სოციალური მდგომარეობა (бытie), მიუხედავად ამ საერთო სოციალური მდგომარეობისა, მას შეეფერება სხვა და სხვა იდეოლოგიები, როგორც ეს გამოდის ცხადად თვით მარქსის ზემო მოყვანილ სიტყვებისაგან. მაშასადამე წარმოებითი, ეკონომიური ურთიერთობა არ არის ერთად ერთი გამსაზღვრელი და არც უაღრესი ყოფილა, რადგან ის ვერ იმორჩილებს იდეოლოგიას. ესევე ითქმის ბურჟუაზიის ერთი ნაწილის პროლეტარიატისაკენ გადასვლის თაობაზე. „მთელი ისტორიული მოძრაობის თეორეტიულად შეგნება – იდეოლოგია არის და მაშასადამე, თუ ბურჟუა-იდეოლოგებმა მათ იდეოლოგიის თანახმად ან წინააღმდეგ პროლეტართა რაზმში ამოჰყვეს თავი, ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ეკონომიური, წარმოებითი, ქონებრივი ურთიერთობანი ანუ მათი სოციალური მდგომარება (бытie), როგორც ბურჟუაზიული კატეგორია არ იქნება გამსაზღვრელი ან იქნება ერთი, არა უაღრესი, არამედ სხვათა შორის გამსაზღვრელ ფაქტორთაგანი. თუ ქრისტიანიზმი მონათა სარწმუნოება არის, ერთი მხრით და მეორე მხრით ყველა იდეოლოგია „ინგრევა მეტად ან ნაკლებად ჩქარა“ წარმოებითი ურთიერთობათა დანგრევასთან ერთად, მაშინ ცხადია რომ ქრისტიანიზმი, როგორც მონათა იდეოლოგია, უნდა დანგრეულიყო მონობის მოსპობასთან ერთად ან ფეოდალურ ხანას მაინც აღარ უნდა გადაცილებოდა, მაგრამ წინააღმდეგ ამისა ჩვენ ვხედავთ, რომ ქრისტიანიზმი, როგორც სხვა ბევრი იდეოლოგიური ფანტომი, მიუხედავად ეკონომიურ რეჟიმების ცვლისა არა თუ დღესაც, კაპიტალისტურ ბატონობის დროში, არამედ ვგონებ მეოთხე სახელმწიფოს დროსაც იქნება ერთ სოციალურ გამსაზღვრელ ფაქტორთაგანი. რადგან ეს ასეა, ჩვენ იძულებული ვართ ამ ნაირ ფანტასტიურ იდეოლოგიების გავლენა მივაწეროთ არა ეკონომიურ და საწარმოვო ურთიერთობას, არამედ თვით ადამიანის გონებრივ ორგანოს, თვით ამ ორგანოს ფუნქციას, თვისებას მივაწეროთ. როდესაც მარქსისტები ამბობენ, რომ წარმოების ურთიერთობას განსაზღვრავს წარმოების ტეხნიკა, მაშინაც კი ისინი მხოლოდ მთელის ნაწილით ხსნიან მთელსაც და მთელის ამხსნელ ნაწილსაც ე. ი. ისინი ხსნიან ერთ უცნობს მეორე აგრეთვე უცნობით და ამნაირად ისინი ვარდებიან პეტიციო პრინციპში. უწინდელ ისტორიულ ფილოსოფიებზე მხოლოდ ის უპირატესობა აქვთ, რომ რთულ სოციალურ უცნობს ისინი ხსნიან უფრო ნაკლებად რთული უცნობით; მაგრამ ამნაირი პროცესი მხოლოდ დაბრკოლების უფრო შორს გადატანაა და არა მისი ახსნა. თვით მარქსის მოთხრობილ შრომის ისტორიისაგან სჩანს, რომ შრომის წესის ძლიერ ბევრ ცვლილებებს არავითარი შესაფერი და საყურადღებო ცვლილება არ მოჰყოლია საკუთრებით ურთიერთობაში. ცხადია რომ მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა დიდი ცვლილება წარმოების ტეხნიკაში, რომელსაც გავლენა ჰქონდა მთელ სოციალურ ფაქტორთა ჯამზე, რადგან ენერგია მსოფლიოში არც იკარგება და არც იქმნება. მარქსი ხედავდა, რომ ხელით მომქმედი მანქანები თანდათან გადიოდენ ხმარებიდგან და მათ მაგიერ შემოდიოდა ორთქლით მომქმედი მანქანები. მარქსი მოწმე იყო როგორც ამ ფაქტების, ისე ამ ფაქტების შედეგების, და არ არის საკვირველი, თუ იმან რაც მისი თვალის წინ ხდებოდა, მოახდინა მასზე ღრმა შთაბეჭდილება, მაგრამ დღეს კი ის შემცდარია, იმიტომ რომ ეს დროებითი სოციალური მოვლენა მან გადააქცია რაღაც საყოველთაო, ზოგად და მიუცილებელ კანონად განურჩევლად დროისა და სივრცისა. არა თუ წარმოების ხელსაწყო არ განსაზღვრავს მთელ საზოგადოებრივ სირთულეს, არამედ ის თვით მარტო ეკონომიურ და წარმოებით ურთიერთობასაც ვერ განსაზღვრავს, რადგან არის ისეთი მომენტები, ისტორიაში როდესაც ცირკულაცია, ბაზარი, მოხმარება, მოდა აძლევენ ტონს წარმოებას. ხშირად თვით მწარმოებელი იძულებულია შეუფეროს თავის წარმოება საზოგადოების გემოს, ამიტომ მოხმარების და მოთხოვნის ცვლილებას მოჰყვება თვით წარმოების, სახელოსნოს შეცვლა. თვით სახელვანო წარმოების ერთხელ შემოღებული არის კონსერვატიული და მისი ხასიათი, თვისება საზღვრავს, ფარგლავს წარმოების როგორც თვისებას ისე რიცხვს. რადგან ჩვენი აზრით ეკონომია არის ისეთი პროცესი რომელიც გამოიხატება იმავე ენერგიის დახარჯვით უმეტესის წარმოშობაში, რადგან ეკონომია ამნაირად არის შემოკლება დროის და სივრცის, ამიტომ გამოგონება არის უმაღლესი საფეხური ბუნების ეკონომიაში და მაშასადამე ის აქტიური ელემენტია, ის უმაღლესი ნაწარმოებია ნივთიერების ეკონომიისა. მაშასადამე ისიც ისეთივე მატერიალური ძალა და ეკონომია არის როგორც თვით ტეხნიკა. ხშირად ერთი და იგივე ტეხნიკური საშვალებები სხვა და სხვა რეჟიმების დროს არიან ხმარებაში. რუსეთში მონობა არ ყოფილა მაგრამ გუთანი მაინც იყო ხმარებაში, ისე როგორც იმ ქვეყნებში სადაც მონობა არსებობდა. „ერთ და იმავე გუთანს აწვებოდენ ნახნავში ყმის და თავისუფალი გლეხის ხელები“ საქართველოში, რუსეთში და სხვაგანაც.


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## ახალი წიგნები.

გამოვიდა ამ დღეებში და იყიდება „მუშისა“ და „ნობათის“ რედაქციაში:

1. მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა. სინდიკალიზმი. ქ. ორგეიანისა, გამოცემა „კომუნისა“ . . ფ. 20 კ.
2. კომუნიზმი და ანარქია, პ. კროპოტკინისა. გამოცემა „ნობათისა“ . . . . . . . . . . . . ფ 15 კ.
3. საერთო გაფიცვის მეორე დღე, ა. ბურშესი. გამოცემა „ნობათისა“ . . . . . . . . . . . ფ. 10 კ.
4. მეამბოხის სიტყვები. გამ. „ინტერნაციონალისა“, ფ. 5 კ.


რედაქტორ-გამომცემელი დ. ერისთავი-მდივნის

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შ რ ო მ ა“. ტფილისი მიხეილის ქუჩა, 65.